კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამა

ბაკურ ხუბულავა

,,სეპარატიზმი როგორც თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევა (კავკასიისა და ევროპის რეგიონის მაგალითზე)"

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია, პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

თანამედროვე პერიოდში ევროპაში მიმდინარე სეპარატისტულმა პროცესებმა, ცხადჰყო რომ მსოფლიო მიილტვის ახალი გეოპოლიტიკური წესრიგისკენ, სეპარატისტულმა პროცესები კი ხელს უწყობენ, ამ პროცესის დაჩქარებას. რისი ნათელი მაგალითიც გახლავს 2017 წელს კატალონიაში რეფერენდუმი, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასხვლა და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის სურვილი მთელი ევროპის მასშტაბით, ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები საფრთხეს უქმნის, როგორც ქვეყნებისა და რეგიონის ასევე მთლიანად ევროპის კონტინენტის ერთიანობას და უსაფრთხოებას.

ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკურ მეცნიერებაში ძალზედ აქტუალურ თემას. მისი აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე საერთააშორისო მოვლენების და საერთაშორისო სისტემის მზარდი ცვალებადი ტენდენციით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რეგიონალური მოძრაობები, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით .ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკური მიზნები სხვადასხვა აქტორების თუ ჯგუფების და ამის ფონზე კონკრეტული სეპარაციული რეგიონის ინტერესები და მისწრაფებები. ასევე ის ხელისშემშლელი ფაქტორები, ნაშრომში გაანალიზებულია მსგავსებები და განსხვავებები საქართველოს და ევროპის სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობები, განხილულია მათი გადაჭრის გზები და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მექანიზმებიი.

Annotation

Separatism as a challenge to modern international security (on the example of the Caucasus and the European region)

Currently ongoing separatist movements in Europe confirmed that the world is striving for new geopolitical order and these movementspromote it. Referendum held in Cataloniain 2017, Br-exit and different actors' willingness all over the Europe to create new states are the proof of this fact. Processes mentioned above threaten unity and security of each state as well as of whole Europe.

This paper is devoted to overriding issue that is determined by increasing changes of international system and international events as well. Regional movements for acquiring autonomy and independence are one of the most important issues among these events.

It discusses geopolitical goals of different international actors, concrete separatist region's interests, aspirations and obstacles, too. There are alsoanalyzed similarities and differences between the separatist movements in Georgia and Europe.

Bakur Khubulava

სარჩევი

ანოტაცია .....**Ошибка! Закладка не определена.**

Annotation .....**Ошибка! Закладка не определена.**

შესავალი 5

I თავი. სეპარატიზმის მიმოხილვა და ისტორიული ასპექტი……11

*1.1.*სეპარატიზმის არსი და რაობა: პოლიტიკური ანალიზი
……11

*1.2.*სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზები: ისტორიული, რელიგიური და ეკონომიკურ-სოციალური მომენტები
……
…14

*1.3*სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზები: ისტორიული, რელიგიური და ეკონომიკურ-სოციალური მომენტები
……
…21

II თავი. საერთაშორისო საზოგადოება და სეპარატიზმთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები.....

*2.1*ირედენტიზმი და პოლიტიკური სეპარაციის ახალი მოვლენა……26

2.2. საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა სეპარატიზმის და ირედენტიზმის დაძლევის საქმეში - გაერო, ეუთო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები……32

თავი III. . სეპარატიზმი როგორც თანამედროვე გეოპოლიტიკური საფრთხე საერთაშორისო სისტემისთვის……
……

3.1. . კავკასიის რეგიონის მთავარი სეპარატისტული გამოწვევები და მათი დაძლევის პერსპექტივები ……..,,36

*3.2.*ევროპული და კავკასიური სეპარატისტული კონფლიქტების შედარებთი ანალიზი……43

3.3. ევროპის კონტინენტის მთავარი სეპარატისტული საფრთხეები და მათი დაძლევის გზები……60

დასკვნა.....64

ბიბლიოგრაფია.....68

დანართი.....71

შესავალი

2017 წლის 1ოქტომბერს კატალონიაში რეფერენდუმი ჩატარდა, მონაწილეთა 90% მა- რეგიონის ესპანეთიდან გასვლას დაუჭირა მხარი, ბარსელონაში პოლიციასთან შეტაკების შედეგად ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა. კატალონის მთავრობის მეთაური კარლეს პუჩდემონი ცენტრალურმა მთავრობამ პოსტიდან გადააყენა. კატალონიის შემხედვარე, ბასკები და ანდალუსიელები კბილებს ილესავენ. მიუხედავა იმისა, რომ 2014 წელს შოტლანდიელებმა მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას, მაგრამ 6 წლის წინ მთავარი შემაკავებელი ფაქტორი ევროკავშირი იყო, ბრექსიტის შემდგომ შოტლანდიელებს სურთ ბრიტანეთიდან გამოყოფა, საერთოდაც ბრექსიტი შესაძლოა ბევრისთვის წამახალისებელ სვლად იქცეს, ბელგიაში ფლანდრიელებს არ სურთ ვალონელების რჩენა, როგორც ჩრდილო იტალიელები გამოთქვამენ პროტესტს, სამხრეთელების მიმართ. განსაკუთრებით აქტიურობენ ლომბარდიელები და პადანელები, უკვე წლებია კორსიკელებიც არ მალავენ იტალიისკენ ლტოლვის სურვილს, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ სეპარატიზმთან გვაქვს საქმე, რომელიც დღითი-დღე უფრო პოპულარული ხდება. კვლავ სეპარატიზმის კერად რჩება, აღმოსავლეთ ევროპა ბალკანეთის და კავკასიის რეგიონი სადაც 25 წელზე მეტია, ვერ მოიშორეს სეპარატისტული იდეები.

ევროპა სრულიად ახალ რეალობას შეეჯახა. რომელსაც შესაძლებელია დომინოს ეფექტით სრული პოლიტიკური რღვევა მოჰყვეს და ვიხილოთ ახალი გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსი, რომელიც ახლაი ქვეყნების წარმოქმნის პირმშო გახდება, ექსპერტები უახლოს მომავალში ევროპის მასშტაბით 10 ახალი ქვეყნის წარმოქმნას ვარაუდობენ.

მაინც რა არის „სეპარატიზმი“? საფრთხე და კონკრეტული ქვეყნების ინტერესები თუ ხალხთა თვითგამორკვევის „სესეციის“ უფლება?

თემის აქტუალობა: სეპარატიზმი იმ საკითხთა შორისაა, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონულ-მსოფლიო პოლიტიკას. სეპარატისტული მოძრაობები გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. სეპარატიზმის კერები ანტრაქტიდის გარდა ყველა კონტინეტზე გვხვდება. მას არამხოლოდ განვითარებადი ქვეყნები, არამედ განვითარებული სახელმწიფოებიც მწვავედ განიცდიან. სეპარატიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მშვიდობიანი მსოფლიოს კონცეფციას. დღითი-დღე უფრო აქტიურდებიან სეპარატისტული მოძრაობები, რისი ნათელი მაგალითია: კატალონია, ბასკეთი, ფლანდრია, ოციტანია, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები, კავკასიის რეგიონი, ჩრდილოეთ იტალია და დიდი ბრიტანეთი . ყოველივე ეს შესაძლებელია გახდეს პირმშო, ახალი პოლიტიკური წესრიგის და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნისა.

საკვლევი კითხვები:

რა საფრთხების წინაშე აყენებს სეპარატიზმის მსოფლიოს?

როგორო გავლენას ახდენს სეპარატიზმი რეგიონალურ უსაფრთხოებაზე კავკასიის და ევროპის მაგალითზე?

კავკასიის და ევროპის რეგიონის სეპარატისტულ გამოვლინებებს რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნიათ?

როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სეპარატიზმს?

სად გადის ზღვარი საერთაშრისო სამართალსა და სეპარატიზმს შორის?

ჰიპოთეზა:სეპარატიზმი თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების მთავარ გამოწვევად იქცა, დომინოს ეფექტით მოედო რეგიონს და მთლიან კონტინეტს, რაც საფრთხეს უქმნის ერთიანი მშვიდობიანი ევროპის კონცეფციას. სეპარატიზმი იქცა უსაფრთხოების ნომერ პირველ გამოწვევად. სეპარატიზმი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება, მის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად რთულია, ეს პრობლემა ყველა ეპოქაში იყო აქტიური და ასე იქნება მომავალშიც, რადგანაც სანამ იარსებებენ ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც სურთ თვითგამორკვევა მუდამ ეცდებიან საკუთარი ინტერესების გატარებას.

თემის მიზნები და ამოცანები: თემის მიზანია მიმოვიხილოთ ყველაზე მიმოვიხილოთ ისტორიული გამოცდილება, და გავაანალიზოთ პოლიტიკურ-სოციალურ, რელიგიური და ეკონომიკური მოცემულობები გამოხატულ რეაქციებთან ერთად. მისი ფუნქცია კი უშუალოდ იქნება სეპარატისტზმის გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციის შემშავება და სეპარატიზმის სხვადასხვა ჭრილში განხილვა. რეგიონების მიხედვით.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანი არის სეპარატისტული რეგიონები კავკასიაში და მთლელი ევროპის მაგალითზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს რეგიონში არსებული ვითარება

კვლევის მეთოდები:

- SWOT-ანალიზი
- მონაცემთა ანალიზი

- ისტორიულ-მიმოხილვით,
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი,
- კონტენტ ანალიზი

თემის დამუშავების დროს გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული სხვადასხვა თეორიები და მათი მეთოდოლოგია, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - თეორიის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერ რ. ქიოჰანი და ჯ.ნეი, რომელიც ეწინააღმდეგება რელიზმის სკოლას და გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილის როლი მცირდება და პირიქით იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და სხვა. რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ერთ მთლიანობა ქმნიან, რომლის შენარჩუნება თითოეული მათგანის ინტერესია.

ცივილიზაციათა შეჯახების თეორია- ცნობილი ამერიკელ მეცნიერის სამუელ ჰანგტინტონს ეკუთვნის. ჰანტიგტონის აზრით, ცივი ომის დამთავრების შემდგომ ეპოქაში შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში კონფლიქტების წარმოშობისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ-რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან თუ აქამდე ომები დინასტიებს, იმპერიებსა და იდეოლოგიებს შორის წინააღმდეგობების შედეგი იყო მომავალში კონფლიქტების მთავარი მიზეზი ცივილიზაციათა შორის დაპირისპირება იქნება, ჰანგიტნგტონი გამოყოფს ძირითად ცივილიზაციას: დასავლურს, სლავურ-მართმადიდებლურს, ისლამურს, კონფუციურს, იაპონურს, ინდუისტურს, ლათინო-ამერიკულს და შესაძლო აფრიკულს.

ნეორეალიზმი-ამ თეორის ერთ-ერთი შემომქმედია, კენეტ უოლცი. უოლცის აზრით, გლობალური სისტემის ხასიათი განაპირობებს სახელმწიფოების ქცევას და არა პირიქით, საერთაშორისო პოლიტიკის ავტონომიურობას უსხვამს ხაზს. საერთაშორისო.

ნაშრომისთეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გამოადგება კავკასიის რეგიონისა და ევროპის სეპარატისტული კერებით დაინტერესებულ ყველა ანალიტიკოს, საერთაშორისო ურთიერთობისა და უსაფრთხოების მკვლევარებს, ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამებში. ნაშრომს თავისუფლად შეუძლია გახდეს გახდეს გზამკვლევი შესაბამისი უწყებების: საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისთვის- რეგიონალური უსაფრთხოების და სეპარატისტული პრობლემების გადაჭრის და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებშიც მიმოხილულია ნატოს ინტერესები და მიზნები მისი შექმნის პერიოდიდან. ასევე სტატიები და სხვა ნაშრომები, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები და ნაშრომები, რომლებშიც განხილულია სეპარატიზმის, ირედენტიზმისა და ნაციონალიზსმი ინტერესები, მიზნები და საფრთხეები მისი შექმნის პერიოდიდანან დღემდე, როგორც ისტორიულ ასევე პოლიტიკურ რაკურსში ასევე სტატიები და სხვა პუბლიცისტური წერილები, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება.

- ✓ **ნაციონალიზმი და გლობალიზაცია ზურაბ დავითაშვილი/ თბილისი 2003** წელი- წიგნში განხილულია 12 თემა, ძირითადი საკითხებია ერი სახელმწიფო, ნაციონალიზმის ტიპოლოგია, ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს შორის განხილული საფრთხეები საერთაშორისო სისტემის მიმოხილვა ამ კუთხით.

- ✓ **ფედერალიზმი და სეცესიის უფლება- გია ხუბუა/ თბილისი 1999**- წიგნში განხილულია სეცესიის ცნება და მისი უფლება, თანამედროვე თეორიები და სეცესიის პრობლემა საერთაშორისო სამართალში და პოლიტიკურ პრაქტიკაში
- ✓ **უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას, ტონი ჯატი/ რადარამი 2013**- ავტორი საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემამ და სამართალმა მოეტანა, ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე და პოლიტიკის ნაციონალიზაციაზე.
- ✓ **საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე, ნიკა ჩიტაძე ქეთევან ჯებისაშვილი / თბილის 2019 წელი-** ნაშრომი განხილულია საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დეტალური ანალიზი და მათი წარმოდგენა კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების მაგალითზე. კერძოდ, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების სამართლებრივი შეფასებას და იმ ძირითადი განსხვავებების ჩვენებას, რომლებიც, ერთი მხრივ, კოსოვოს, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზეთის კონფლიქტების სამართლებრივ ასპექტებს უკავშირდება
- ✓ **Building Stability in the North Caucasus Ways Forward for Russia and the European Union,Neil J. Melvin /2007 Sipri Stockholm-** ნაშრომი მომზადებულია სტოკჰოლმის კვლევითი ცენტრის მიერ, ავტორს განხილული აქვს ჩრდილოეთ კავკასიისა და ზოგადად კავკასიის რეგიონის სტაბილურობის მნიშვნელობა, ევროკავშირისა და რუსეთისთვის, ასევე ეხება დაპირისპირებულ და სპეციფიურ რეგიონებს.
- ✓ **The Georgia—South Ossetia Conflict, Dennis Sammut and Nikola Cvetkovski March 1996**- ნაშრომი და კვლევები ეხება, 1990 იან წლებში ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტს, ავტორები მიმიოხილავენ როგორც ისტორიულ

კონტექსტს ასევე სამართებლივ გზებს და განიხილავენ პრობლების გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს.

თავი I. სეპარატიზმის მიმოხილვა და ისტორიული ასპექტი

1.1. სეპარატიზმის არსი და რაობა: პოლიტიკური ანალიზი

ბოლო წლებში განვითარებულმა აქტიურმა მოვლენებმა, გვაჩვენა რომ სეპარატიზმი იმ მოვლებათა შორისა, რომელიც განსაზღვრავენ ქვეყნის, რეგიონის და მსოფლიო უსაფრთხოებას, ტერორიზმთან ერთად ის საერთაშორისო უსაფრთხოების და პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრეს გამოწვევად იქცა. სეპარატიზმი და მისი თანმდევი პროცესები ხშირად უპირისპირდება საერთაშორისო სამართალს, 21-ე საუკუნეში ის გახდა პოლიტიკური საჭადრაკო სვლის ნაწილი და უმეტეს შემთხვევაში ქვეყნებს არ გააჩნიათ ერთიანი კონცეფცია და მეტიც მზაობა ერთობლივად ებრძოლონ, ამ მეტად მძიმე პოლიტიკურ დაავადებას.

სეპარატიზმი ისტორიულ ჭრილში მიმოხილვისას, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ მის შორეულ ფესვებს, ის ფრანგული სიტყვიდან იღებს სათავეს და „გამოყოფას“ ნიშნავს- კულტურულ, გვაროვნულ, ეთნიკური, რელიგიურ ნიადაგზე გაამოყოფის მოთხოვნაა. ხშირ შემთხვევაში, სეპარატიზმი, სეცესია და თვითგამორკვევა ერთმანეთს უპირისპირდებაა, რისი ნათელი მაგალითი არის ისტორიული წყაროები და ფაქტები. რომელის მაგალითები, ჩვენი ნაშრომის ქვეთავებშიც მრავლად იქნება განხილული.

სეცესია- ნიშნავს ორი სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით ერთმანეთან განცალკევებას, უახლოეს წარსულში ყოველივე ამის, არაერთი ფაქტი დაფიქსირდა ჩეხოსლოვაკია 1993წელს მოლაპარაკების შედეგად, გაიყო ორ სახელმწიფოდ ჩეხეთი და სლოვაკეთი. 2006 წელს იგივე ბედი გაიზიარა სერბეთმა და ჩერნოგორიამ, რომელებიც განცალკევების შედეგად სერბეთად და მონტენეგროდ იწოდებიან. განსხვავებულ სეცესიას ვხვდებით ისლანდიის დანიისგან გამოყოფის დროს 1944 წელს. ეს ე.წ. „remedial secession“პრინციპზე მოხდა, ეს ის შემთხვევა როდესაც შეთანხმება მიღწეული არ არის, მაგრამ აბოხებული მხარე ცდილობენ გახდნენ დამოუკიდებლები და არ დაემორჩილონ არსებულ ქვეყანას. შემდგომშიც არაერთი მაგალითი იყო როდეცსა სეცესია, თვითგამორკვევა და სეპარატიზმი საერთაშორისო სამართლის პრინციპებს დაუპირისპირდა, ამ პროცესმა პიკს 2008 წელს სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფის დროს მიაღწია, რიგი ქვეყნები დღემდე არ აღიარებენ კოსოვოს, მათ შორის საქართველო და ბევრი ექსპერტი თვლის რომ ეს ფაქტი განპირობებულია პოლიტიკურ ნიადაგზე, სერბეთი ისჯება არაპირდაპირი გზით 90-იან წლებში ბალკანეთში დაწყებული ომის გამო და შესაძლოა კოსოვო არ იყოს ბოლო გაჩერება, რადგან აქტიური პროცესები მიმდინარეობს სერბეთის ორ ავტონომიურ რეგიონ ვოეოვოდინა და სანზაკიაში. საერთაშორისო საზოგადოება რომელმაც კოსოვო აღიარა, თავის მხრივ მხარ არ უჭერს კატალონიის, ბასკეთის დამოუკიდებლობას ესპანეთში, აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას, სამაგიეროდ სრულიად საპირისპირო პოლუსზეა რუსეთი. ეს დეტალები ცხადად გვაჩვენებს, რომ

სეპარატიზმი საერთაშორისო სამართალზე მეტად, პოლიტიკური დღის წესრიგისა და სახელმწიფოების ინტერესების გამტარებელ მექანიზმად იქცა. აღიარების მიუხედავად კოსოვოც ვერ გახდა სრულყოფილი საერთაშორისო სამართლის მქონე ობიექტი და ისინი უამრავ პრობლემას აწყდებიან ამა თუ იმ კუთხით, გარდა ამისა სეპარატიზმში დიდ ქვეყნებს აქვთ საკუთარი ინტერესები, მიუხედავად საერთაშორიოს განცხადების და ერთად დგომისა, ხშირად ისინი საკუთარი ინტერესებისამებრ იყენებენ და ახალისებენ ხოლმე ქვეყნებს, ამ რიგში ძირითადად ძლიერი და დიდი ქვეყნები შედიან, მაგრამ არც პატარა და განვითარებადი ქვეყნები ამბობენ უარს, უბრალოდ მათ რამდენად შესწევთ ძალა ეგ საკითხვია, არის მეორე ფაქტორიც, რათქმაუნდა ასევე დიდი ქვეყნების სასარგებლოდ, სეპარატისტული პროცესები ხელს უწყობს „დაყავი და იბატონე“- ს პრინციპს, ამ იდეით არაერთი იმპერიალისტურლი სახელმწიფო მოქმედებს, ასე რომ საერთოდ არ არის გასაკვირი მათი კვალის დანახვა სეპარატისტული პროცესების წახალისებაში.

1.2. სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზები: ისტორიული-რელიგიური და ეკონომიკურ-სოციალური მომენტები

სეპარატიზმის გამომწვევი უპირველესი მიზეზებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ, ისტორიულ-კულტურულ, რელიგიურ მრავალფეროვნებას და განასხვავებას, რომელიც ხშირად გაუცხოვების და დაპირისპირების სათავე ხდება. ხშირია ქვეყნები სადაც სხვადასხვა წარსულის და ისტორისს მქონე, ჯგუფებები ცხოვრობენ . მაგალითისთვის შეგვიძლიათ განვიხილოთ ესპანეთი, ყოფილი იუგოსლავია იტალიის ზოგიერთი რეგიონი, იბერიის ნახევარკუნძულზე ამ კუთხით ყველაზე ცხელი ადგილი არის ბასკეთი. ბასკების ნაციონალიზმი ემყარება სწორედ იმ იდენტურ სხვაობს რაც მათი აზრით არსებობს ესპანელებსა და ბასკებს შორის. ბასკებს გააჩნიათ საკუთარი ენა, უდიდესი ისტორია, 1801 წელს, გერმანელმა მკვლევარ-მეცნიერმა ჰუმბოლტმა შემოიარა მთელი რეგიონი და აღიარა იგი, როგორც ბასკური ერი. 10 წლის შემდეგ 1811 წელს, სენატორი გარეტი ირწმუნებოდა, რომ ბასკები ფინიკიელების შთამომავლები იყვნენ და სთავაზობდა იმპერატორ

ნაპოლეონს „ ბასკური ერის“ სახელის ფორმირებას, როგორც „ახალ ფინიკიად“ და რომ მასში უნდა გაერთიანებულიყო ის ოთხი პროვინცია როგორც დიად ნავარაში იყო და შესულიყო ბასკონიის ნახევარკუნძულის სახით.

ბევრმა მკვლევარმა და ლინგვისტმა შეისწავლა ბასკური ენა და ფაქტია რომ ეს ენა არ გავს არცერთ სხვა ენას და არის მათში რაღაც განმასხვავებელი ნიშანი.

თუ კატალონია ეკონომიკურ ფაქტორზე გადაეწყო და მთავარ მიზეზად „ფისკალურ ქურდობას ასახელებს ბასკები ისევ ტრადიციულ განმასხვავებელ ნიშან თვისებაზე ამახვილებენ ყურადღებას. საფეხბურთო კლუბ ბილბაოს ატლეტიკში დაარსებიდან 1898 წლიდან უკვე საუკუნეზე მეტია არ უთამაშია ლეგიონერს

კლუბი მხოლოდ და მხოლოდ ბასკებით არის დაკომპლექტებული და მიუხედავად ამისა ევროსარბიელებზე პერმამენტულად ასპარეზობენ , არსებობს ერთი რუსული ხუმრობა „რუსეთში შეიძლება ჯართი დაილიოს და ბასკეთში ტალანტებს რა დალევსო’ როდესაც ბასკებს. სურთ ხაზი გაუსვან თავიანთი გუნდის თვითმყოფადობას, ისინი იშველიებენ მათი გუნდის ორ ტრადიციულ წესს: „პირველი, ჩვენს გუნდში არასოდეს თამაშობენ ლეგიონერები და მეორე ჩვენს გუნდში არასოდეს თამაშობენ ესპანელები“ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ბასკები ეროვნულ დღესასწაულს (Aberi Eguna სამშობლოს დღეს) 28 მარტს აღნიშნავენ და არა 12 ოქტომბერს (ესპანელი ერის დღე).

რელიგიურ კულტურული განსხვავებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ბალკანეთის რეგიონი, „ყოფილი იუგოსლავია“ ამ სახელმწიფოში ერთად თანაცხოვროდბნენ: მუსლიმი, მართმადიდებელი და კათოლიკე ქრისტიანი, სწორედ ამ რელიგიურმა დაპირისპირებამ და გაუცხოებამ გამოიწვია იუგოსლავიის დაშლა, რომელიც დღემდე არ დასრულებულა, კოსოვოთი გაგრძელდა სადაც ეთნიკურ რელიგიურ ნიადაგზე მოხდა კონფლიქტი, ერთი მხარე გახლდათ ქრისტიანი სერბები, მეროე მხარეს კი მუსლიმი ალბანელები. ბოსნიაში, ხროვატიაში და

სერბეთში დღემდე მიმდინარებს ეთნიკურ რელიგიური დაპირისპირება, იუგოსლავიის მაგალითმა ნათლად აჩვენა თუ რა დონემდე შეგვიძლია მიგვიყვანოს ეთნიკურ, რელიგიურ-კულტურულმა განმასხვავებლებმა,. კულტურულ განმასხვავებელი ნიშნებს შევხვდებით ევროპის შუაგულში, ბელგიის მაგალითი კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ სეპარატიზმი არამხოლოდ განვითარებადი რამედ განვითარებული ქვეყნების პრობლემასაც წარმოადგენს, ბელგიაში ვალონებსა და ფლანრიელებს შორის დაპირისპირების მიზეზები ეკონომიკასთან ერთად ენობრივი ბარიერია, რომელსაც ისტორიული ფესვები მოსდგამს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან. ლინგვისტურ პრობლემას ვაწყდებით იტალიის რეგიონებში განსაკუთრებით სამხრეთ ტიროლიში, სადაც გერმანულ ენოვანი მოსახლეობა ავსტრიელად თვლის თავს და არა იტალიელად.

ზემოთ ჩამოთვლილმა მოვლენებმა, ნათლად გვაჩვენა თუ რამდენად მძაფრ გავლენას ახდენს ისტორიული-კულტურული და რელიგიური განსხვავებები სეპარატიზმის წახალისებაში, როგორც „ტონი ჯატი“ ბრძანებს ისტორიამ ნათლად გვასწავლა, რაც არ უნდა პრიმიტიული და უხეირო იყოს პოლიტიკა ყოველთვის ნაციონალისტური რჩება.[1]

ნაციონალისტურ მისწრაფებებს და გამოვლინებებზე არანაკლები, როლი ენიჭება 21-საუკუნეში ეკონომიკურ სეპარატიზმს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვყოთ და ჩავშალოთ.

ეკონომიკის როლი 21 საუკუნეში კიდევ უფრო გაიზარდა, რიგ საკითხები ქვეყნები უკვე ისტორიულ კულტურულ რელიგიურ იდეაზე მეტად ეკონომიკრ ფაქტორებს აყენებენ, რაც სრულებით გასაგებია. სხვადასხვა რეგიონში სეპარატიზმს სხვადასხვა მიზეზები აქვს, იმის საჩვენებლად თუ რას როლს თამაშობს ეკონომიკა

[1]„უკეთურება ეუფლება კაცობრიობას“ რადარამი თბილისი 2013. გვ.165

სეპარატიზმის გაღვივებაში კარგ მაგალითად კატალონიური და შოტლანდიური სეპარატიზმის განხილვა გამოგვადგება.

2003 წლის კატალონიის ჟენერალიტეტის არჩევნების და მასში პასკუალ მარგალის გამარჯვების შემდეგ კატალონიაში შეიცვალა სეპარატისტული მოძრაობისადმი მიდგომები. თუ ადრე კატალონიზმი ასოცირდებოდა ქვეყნის აშენებაზე რომელიც კულტურულად დიფერენცირებულია დანარჩენი ესპანეთისგან 2003 წლის შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა კულტურის როლი და მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ პოლიტიკურ ასპექტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფისკალური პოლიტიკა“ ფისკალური დამოკიდებულება არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოთხოვნადი კატალონელთა მხრიდან. საქმე იმაშია, რომ მათ არ გააჩნიათ ფისკალური დამოუკიდებლობა განსხვავებით კიდევ ორი ავტონომიური რეგიონის ნავარისა და ბასკეთისგან.

კატალონიის მოსახლეობა და მთავრობა იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დღევანდელ მსოფლიოში, სადა ვრცელდება თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ იყვნენ ძალიან წარმატებულნი.

კატალონია არც თუ ისე მცირე რეგიონია 8მილიონი მოსახლეობით, ამ მონაცემით ის უსწრებს ევროკავშვირის წევრი 10 ქვეყანაზე მეტს . კატალონიის მშპ 2010 წელს 200მლდ ევროს შეადგენდა, რაც უტოლდება ირლანდიის, პორტუგალიის ჩეხეთის მთლიან შიდა პროდუქტს, ხოლო რიგ ქვეყნებს უსწრებს კიდეც.

კატალონია ესპანეთის ჩვიდმეტ რეგიონს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია მისი წილი ესპანეთის მშპ-შო 20%ს-ზე მეტს უდრის, ის აგრეთვე პასუხისმგებელია ექსპორტის მეოთხედზე. გარდა ამისა ესპანეთის 40-ზე მეტი ბანკიდან 10 ბანკი კატალონიაში მდებარეობს. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტორი თუ რამდენად მაღლა დგას კატალონიაში ცხოვრების დონე, დანარჩენ ესპანეთთან შედარებით: აქ დაუსაქმებელა რაოდენობა 2%- ია მთელს დანარჩენ ესპანეთშიკი 14-16%(კორონა

ვირუსის პანდემისის შემდეგ, ეს სტატისტიკა სავარაუდოდ შესაძლოა, მცირედით შეცვლილიყო) ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 28010 ევროს უდრის, რაც დანარჩენი ესპანეთის მაჩვენებელს 14% -ით აღემატება . გარდა ამისა კატალონია მიმზიდველი რეგიონია უცხოელი ინვესტორებისთვის- ბოლო ხუთი წელია აქ ყოველწლიურად 6-7 მილიარდი ევროს ღირებულების ინვესტიცია შედის. ასევე კატალონია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი რეგიონია ტურისტული თვალსაზრისითაც, ყოველწლიურად ასიაათასობით ადამიანი სტუმრობს ანტონიო გაუდის უმშვენიერეს ქმნილება „საგრადა ფამილიას“ რომელიც ევროპის ყველაზე მოთხოვნადი მონუმენტების ხუთეულშია, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს კატალონიის ბარსელონას საფეხბურთო არენა „კამპ ნოუ“ რომელიც ყველაზე მოთხოვნადია ტურისტებს შორის საფეხბურთოო კუთხით, ბარსელონას საშინაო თამაშების უმეტეს შეხვედრაში 20 და 30 % ტურისტი ავსებს დიდებულ არენას.

კატალონია ესპანეთის ტერიტორიის 6, 3 % იკავებს, ხოლო მოსახლეობა ესპანეთის მოსახლეობის 17% შეადგენს, მაგრამ რეგიონი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 25% მეტს ქმნის და ექსპორტის ¼ -ზე მეტს უზრუნველყოფს

ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და კატალონიის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება და პრობლემის ერთ-ერთი ინდიკატორი იმაში მდგომარეობს, რომ ესპანეთის მშპ- ში შეტანილი 20-25% დან კატალონია უკან იღებს ძალია მცირეს, დაახლოებით რომ შევადაროთ 1 გადახდილი ევროდან კატალონელი მოსახელობა უკან იღებს 57 ცენტს, ამას კატალონიელები „ ფისკალურ ქურდობას „ ეძახიან და ხშირად აპელირებენ ლოზუნგებით „ესპანეთი ჩვენგან იპარავს“.[2]

[2],,დასავლეთ ევროპის სეპარატიზმი და მისი ეკონომიკური ფაქტორები”,თბილისი 2015 წ. 10 ივნისი (ბოლო ნახვა 12.05.2020) გვ.1

უკანასკნელი წლის მონაცემებით მშპ ერთ სულ მოსახლეზე კატალონიაში შეადგენს 30,2 ათას დოლარს, ხოლო ესპანეთში- საშუალოდ 24,1 ათას დოლარს სწორედ ეკონომიკური ასპექტები იქცა დამოუკიდებლობის ყველაზ მნიშვნელოვან არგუმენტად, საკვანძორ იქცა რეგიონების ფინანსური გათანაბრების პრობლემაც, კერძოდ კი განვითარებული პროვინციებიდან ღარიბ პროვინციებში რესურსების გაქაჩვის საკითხი. ესპანეთის კონსტიტუცია რეგიონებს გარკვეული სახის ფინანსურ ავტონომიის გარანტიას აძლევს, რომელიც სოციალური სფეროს მხარდასაჭერადაა საჭირო მუხლი (156) თუმცა მომდევნო მუხლი ამოქმედებს ტერიტორიათა შორის საკომპენსაციო ფონდს (fondo de compensacion interterritorial),[3]რომლის თანახმადაც ყველაზე შეძლებული რეგიონები დანარჩენ რეგიონებს დაეხმარონ (მუხლი 157). შედეგად კატალონია იქცა ერთ-ერთ რეგიონად, რომელიც საერო სახელმწიფო ბიუჯეტში დანარჩენზე მეტს იხდის. იგი იკავებს მეორე ადგილს მადრიდის შემდეგ, კატალონიელი(ნაციონალისტები ამას უსამართლოდ მიიჩნევენ და თვლიან, რომ ესპანეთი ზღუდავს მათ სუვერენულ უფლებას განკარგონ საკუთარი შემოსავლები.

რაც შეეხება შოტლანდიას, როგორც დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფილ სუბიექტის ეკონომიკურ შესაძლებლობებს : შოტლანდია საკმაოდ მდიდარ ბუნებრივ წიაღისეულებს ფლობს უპირველესად აღსანიშნავია ბუნებრივი აირი და ნავთობი. დიდი ბრიტანეთის სამომხმარებლო ბუნებრივი აირის და ნავთობის 90%-ით მომმარაგებელი სწორედ შოტლანდია და ჩრდილოეთის ზღვაა, გარდა ამისა შოტლანდიას გააჩნია მძლავრი ჰიდროელექტრო სადგურები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია დანარჩენი ბრიტანეთისათვის და შოტლანდიის გამოყოფის

[3]El Gobierno renucia a ia la integration regional y vacia el fondo compensacion 23Januuare 2018.(ბოლო ნახვა 07.06 2020) გვ.1

https://www.elconfidencial.com/economia/2018-01-23/gobierno-renuncia-integracion-recorta-fondo-compensacion_1509931/

შემთხვევაში ბრიტანელები იძულებულები იქნებიან იმპორტზე გადავიდნენ და მთლიანად მასზე იყვნენ დამოკიდებულნი ამ შემთხვევაში, მათ გაცილების მეტის გადახდა მოუწევთ ვიდრე შოტლანდიას უხდიან. ბოლო რამდენიმე წელია შოტლანდიაში ტრადიციული საწარმოები იგივე ქვანახშირის და ფოლადის მრეწველობა, აგრეთვე გემთმშენებლობა ძველებური წარმატებას ვერ განიცდის , თუმცა თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას წარმარტებით შეუძლია აწარმოოს ნავთობის, ელექტრო ენერგიის და თქმა უნდა ალკოჰოლური სასლემების პირველ რიგში კი- ვისკის ექსპორტი. მოგეხსენებათ ვისკისა და შავი ლუდის წარმოებაში ისინი ერთ-ერთი ლიდერები არიან, კატალონიასთან განსხვავებით შოტლანდიას მცირე მშპ გააჩნია , დიდი ბრიტანეთის მთლიან შიდა პროდუქტშ მისი წილი დაახლოებით 10დან 12%ამდეა. იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს ეკონომიკური ფაქტორი, სეპარატიზმის და ან ნაციონალიზმის გაღვივებაში კარგად გამოგვადგება 1970-იან წლებში დიდ ბრიტანეთში მიმდინარე მოვლენები. 1970 წლისთვის ჩრდილოეთის ზღვაში, რომელიც შოტლანდიის სანაპიროს აკვატორიაა საკმაოდ დიდი ნავთობის მარაგი აღმოაჩინეს 1973 წლის სანავთობო კრიზისის ფონზე კი ამ ნავთობის ღირებულება ერთ-ორად გაიზარდა. ამის შემდე უკვე ნავთობი შოტლანდიელთა ხელში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტად იქცა, პარალელურად კი გაიზარდა ნაციონალიზმი მათი მხრიდან, მაგალითისთვის 1970 წლის არჩევნებში შოტლანდიის ნაციონალისტურმა პარტიამ, რომლის მთავარი საპროგრამო დაპირებაც დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფა იყო 11% მოაგროვა 1974 წელს ნავთობის კრიზისის შემდეგ, იმავე პარტიამ ხმათა 30% მეტი. შოტლანდიურ სეპარატიზმს აკავებდა, ბრიტანეთის ევროკავშირშ ყოფნა, რაც 2014 წლის რეფერენდუმის შედეგებზეც აისახა, მაგრამ Brexit-ის შემდეგ, ექსპერტები ვარაუდობენ რომ ეს საკითხი კვლავ აქტუალური გახდება და რომ არა კორონავირუსის პანდემია, შესაძლოა წლევანდელი გაზაფხულიდან განახლებულიყო ეს პროცესი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული 2 რეგიონის მაგალითზე ნათლად ჩანს ის თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ფაქტორსსხვადასხვა რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების მსვლელობაში, ეკონომიკური როლი განსაკუთრებით ხელშესახები გახდა ევროზინის ქვეყნებში. ამ კუთხით აღსანიშნავია ისეთი რეგიონები რომლებიც ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან შედარებით განვითარებულები არიან, ესეთი რეგიონებია მაგალითად: ბასკეთი ესპანეთში, ფლანდირა ბელგიაში, ჩრდილოეთ იტალიის რეგიონები, რომლებიც სამხრეთზე ბევრად მდიდრები არიან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონი ქვეყნის მდიდარი ნაწილია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ქვეყნის ყველაზე მდიდარ რეგიონებს არ აქვთ სურვილი არჩინონ ყველაზე ღარიბი რეგიონები, ამ გარემოებიდნა გამომდინარე ამ მოვლენას ხშირად უწოდებენ „მდიდრების სეპარატიზმს“ ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ადასტურებს კატალონიის ჟენერალიტეტის ყოფილი პრეზიდენტის ხორდი პუხოლის სიტყვები: „ ენა არის მნიშვნელოვანი, დროშაც მნიშვნელოვანია, კულტურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ფული“.[4]

[4]ჟურნალი ტაბულა დასავლეთ ევროპული სეპარატიზმი და მისი ეკონომიკური ფაქტორები პავლიკაა ჯაგუნავა 2015 წელი 10 ივნისი. (ბოლო ნახვა 12.06. 2020) გვ. 7
http://www.tabula.ge/ge/tablog/97039-dasavlet-evropuli-separatizmi-da-misi-ekonomikiri-faqtori

1.3. ერთიანიევროპისკონცეფციასეპარატიზმის დაძლევა (ალტერნატიული მოდელი)

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ათვლას იწყებს 1648 წლისვესტფალისზავიდან, რომელსაცწინუსწრებდა 30-წლიანი (1618-1648) ომიევროპულმონარქიებსშორის. ომის გამომწვევი მიზეზი გახლდა, რელიგიური ფაქტორი დაპირირსპირება კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის, ზემოთაღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე ამ ომშიც თავისუფალდ შეიძლება სეპარატიზტული მიზეზების ვეძიოთ, რადგან რელიგია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა სეპარატისტული იდეების გამწვავებაში. ომის განხილვა ამ შემთხვევაში ჩვენთვის იმდენად საინტერესო არ არის, უფრო მნიშვნელოვანია მისი შედეგი. 1648წლის 24 ოქტომბერს მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში კაიზერ ფერდინანდმა -III საფრანგეთთან და შვედეთთან ხელი მოაწერა ზავს, რომელიც ცნობილია ვესტფალიის სამშვიდობი შეთანხმებით. სამშვიდობო კონგრესის მიზანი, იყო

ევროპაში მიმდინარე ომების ჩაცხრობა და მშვიდობიანი ევროპის დასაწყისი. რადგან ბებერი კონტინენტი დაიღალა, დაჩაჩანაკდა და განახევრდა ომების შედეგად. იმისმიუხედავად, მტერიმოდიოდათუმოყვარე, ქალაქებიდასოფლებიოხრდებოდა. განსაკუთრებითდაზარალდა გერმანია. დაეცაეკონომიკა

ვესტფალიის ზავმა დაასრულა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთო ყველაზე ბნელი ომიანობის პერიოდი, რომელმაც საშინელი ქრიასტიანული სისხლის ღვრაა და ომის შედეგად ტერიორიების დარბევა მოუტანა კაცობრიობას.

ვესტფალიის ზავის დადებამ საერთთაშორისო საზოგადოებაშ ფაქტობრივად ახალ ერას დაუდო საფუძველი, რომელმაც თითქმის პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე გასტანა, აღნიშნული განპირობებულია იმით რომ საერთაშორისო შეთანხმების დადებით გაქარწყლდა რომის პაპის გავლენა ევროპის სამხედრო და პოლიტიკურ წყობაზე, რამაც უფრო მეტი გასაქანი მისცა მაშინდელი ქვეუნების პოტენციალს. გარდა ამისა დადებული ხელშეკრუებით რომის საღვთო იმპერიაში შემავალი ერთეულებს უფრო მეტი გასაქანი მიეცა. გარდა ამისა დადებული ხელშეკრულებით რომის საღვთო იმპერიაში შემავალ ერთეულებს მიენიჭათ ე,წ, jus foederationis უფლება გამხდარიყვნენ სხვა პოლიტიკურ ძალათა მოკავშირეები იმ წინაპირობით, რომ მათ ამ ნაბიჯს არ შეეწინააღმდეგებოდა იმპერიი სადა შეთანხმები დადგენილ ინტერესებს (მიუნსტერის ხელშეკრულება, მუხლი 65)[5]

ზემოთ ხსენებული შეთანხმება, ფაქტობრივად ახორციელებდა საერთაშორისო ძალაუბლების დანაწევრებას, რამაც ხელი შწუწყო ე.წ. „პატარა ქვეყნების“ განვითარებასა და ძალთა ბალანს საერთაშორისო ასპარეზზე.

შედეგების და გადანაწილების მიუხედავად, გულის სიღრმეში ფერდინანდმა - III -ე ფრანგები, შვედები, და გერმანელებიც სიამაყის გრძნობით იყვნენ აღვსილი, რადგან ახალ მსოფლიოს დაუდეს სათავა და ევროპელების აზრით, წარსულს უნდა

[5]Treaty of Westphalia. გვ.1. https://avalon.law.yale.edu/17th_century/westphal.asp 2008 . june (ბოლო ნახვა 12.06.2020)

ჩაბარებულიყო ომები, სეპარატისტული დაპირისპირებები, რადგან ახალი ერა იწყებოდა ურთიერთკავშვირების და მეგობრული ერთიანი ევროპის.

მაგრამ ნათქვამია კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა. მიუხდავად ამ დიდი პროგრესისა ევროპა კვლავ გაეხვია ომების ცეცხლში.

მას შემდეგ კაცობრიობამ ორი დიდი მსოფლიო ომი გადაიტანა, და არაერთი ლოკალური თუ რეგიონალური დაპირისპირებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სეპარატისტული პროცესების წინ წამოწევას, ეს ომი იყო ყველაზე სასტიკი და დამანგრეველი კაცობრიობის ისტორიაში. ამ ომებმა კიდევ უფრო გააღრმავეს სეპარატისტული იდები და ერთგავარდ მისი აღმოცენების ხანად გადაიქცა, ტერიოტორიების გადანაწილებამ გამარჯვებული სახელმწიფოების, ბატონობამ: სეცესია, შოვინიზმი, ნაციზმი და სეპარატიზმი ერთმანეთში გარია და ათქვიფა, განსაკუთრებით ამის ასახვა შეგვიძლია ვიპოვოთ მეორე მსოფლიო ომში. პირველ მსოფილო ომს მოჰყვა იმპერიების დასასრული, მათ ადგილზე წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა კი კონკრეტული რეგიონები გადაინაწილეს, მაგ: გერმანიის სასაზღვრო რეგიონებში ჩატარდა არჩევნები, სადაც მოსახლეობა წყვეტდა სურდა თუ არა გერმანიის შემადგენლობაში დარჩენა. იგივე უფლება არ მიენიჭა გერმანელებს, რომლებიც სილეზიასა და ჩრდილოეთ ბოჰემიაში უმრავლესობას შეადგენდნენ. მიუხედავად ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებისა,შეერთდებოდა ავსტრია- გერმანიას, ამის წინააღმდეგი აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი იყვნენ. ასეთი ორმაგი სტანდარტების გამოყენება ძვირად დაუჯდა ევროპას, როდესაც ჰიტლერმა სუდეტი, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას გერმანელები შეადგენდნენ ჩეხოსლოვაკიას ჩამოართვა, რისი წინაპირობაც სწორედ ანტატის უპასუხისმგებლოდ და წინდაუხედავად მიღებული გადაწყვეტილება იყო ამა თუ იმ მოსახლოებას თვითონ უნდა გადაეწყვიტა, რომელი ქვეუნის შემადგენლობაში შევიდოდა.

ამ დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება და ომის ახალი კატაკლიზმები წარმოშვა. მეორე მსოფლი ომის დასრულებასის შემდეგაც,ბუნებრივია ევროპამ ახალი პოლიტიკური რუკა მიიღო, ტერიტორიები ახლებურად გადანაწილდა. ეს პერიოდი გამოირჩეოდა აქტიური ანტიკოლონისტური მოძრაობებით და ახალი ქვეყნების წარმოქნით. ეს პროცესები შეეხო მესამე მსოფლიოს ქვეყნებსაც და კონკრეტულ ევროპის რეგიონს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანტიკოლონისტეური მოძრაობების ლიდერები არ ისახავდნენ მიზნად შექმნათ განცალკევებული სახელმწიფო ეთნიკურ საფუძველზე, თუმცა ის იმპულსი რაც გამოიღო ამ მოძრაობებმა მიიყვანა საზოგადოება იმ მისწრაფებებისკენ, რომ შეექმნათ ეთნიკური სახელმწიფო. გაჩნდა იდეა შეექმნათ სუბიექტურო სახელმწიფოს თვითგამორკვევის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც განახორციელებდა თავის უფლებებს ისტორიულ ტერიტორიაზე, ამის გამოხატულება იყო ეთნიკური კონფლიქტი ბალკანურ რეგიონში, რომელიც დღემდე გრძელდება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რომელმაც მოახდინა პალესტინისგან გამოყოფა. ახალი სახელმწიფოების წარმოიქმნა კიდევ უფრო ხელი შეუწყო, სეპარატიზმის განვითარებას და „ცეცხლზე ნავთი დაეწვეთა“ ნავთი რომლის წვეთი დღემდე გიზგიზებს ევროპაში და მოსვენებას არ აძლევს თანამედროვე მშვიდობიან სამყაროს. თავად განსაჯეთ პირველ მსოფლი ომამდე იყო, 59 სახელმწიფო მე-20 საუკუნის შუაში მათი რიცხვი, 90-ამდე გაიზარდა საუკუნის ბოლოს კი 192 იყო, ეს პროცესი 21 საუკუნის დასაწყისშიც წარმატებით გრძელდება.

მიუხედავად იმისა რომ მეორე მსოფლი ომის შემდეგ 1951 წელს შეიქმნა ევროგაერთიანება, რომელიც შემდგომ ფორმირდა ევროკავშვირად 1993 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ამ ორგანიზაცის შემქმნელების უპირველესი იდეა მშვიდეობიანი და ერთიანი ევროპა იყო, რაზეც მათი მიზები მეტყველებს საერთო ფულადი ერთეული, საზღვრების ღიაობა, ერთი ოჯახის პრინციპი, უპირველესად კი მათი დევიზი „მრავალფეროვნება ერთფეროვნებაში“ მაინც დარჩა ევროპაში

სეპარატიზმის აჩრდილი და ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლოა სწორედ ევროკავშვირი გახდა სეპარატიზმის მაპროვოცირებელი ერთ-ერთი მიზეზი.

როგორც ზემოთ ავღნიშნე ნაპერწკალი ღვივდება და ევროპა ილტვის ახალი რეალობისთვის, რომელიც შეიძლება იმაზე ახლო რეალობა იყოს ვიდრე წარმოგვიდგენია. ყოველდღე უფრო რთული ხდება გაარჩიო: სად მთავრდება ეროვნული ინტერსები და იწყება სეპარატიზმი, სწორედ ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპულმა ქვეყნებმა, საერთაშორისო თუ რეგიონალურმა ორგანიზაციებმა, შექმნან ერთიანი სისტემა რომელიც უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას და თანამშრომლობას ამ საკითხში და რაღა თქმა უნდა, იქნება იმაზე ეფექტიანი ვიდრე ამჯერად არსებული ორგანიზაციები.

თავი II. საერთაშორისო საზოგადოება და სეპარატიზმთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

2.1. ირედენტიზმი და პოლიტიკური სეპარაციის ახალი მოვლენა

ირედენტიზმი თავდაპირველად პოლიტიკური მოძრაობა გახდათ აპენინზე, კერძოდ იტალიაში მე-19- მე -20 საუკუნის მიჯნაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საზღვრის გარეთ დარჩენილ ხალხთა გაერთიანებას, სწორედ აქიდან იღებს ის სათავეს და დღეს უკვე თანამედროვე სახით ფორმირდა.

თანამედროვე სამყაროში ირედენტიზმი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და ექსპერტები თუ მკვლევარები მას სეპარატიზმზე არანაკლებ ახსენებენ. დღევანდელი განმარტებით ირედენტიზმი არის მოძრაობა ეთნოსების, ერებისა და ხალხების გაერთიანების. ირედენტიზმის მაგალითებს ვხვდებით ევროპის ნებისმიერ

რეგიონში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ კავკასიაში სკანდინავიასა და ცენტრალურ ევროპაშიც კი. სამხრეთ კავკასიული ირედენტიზმის ნათელი მაგალითია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, ასევე ცხინვალის რეგიონის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოთხოვნა შეუერთდნენ ჩრდილოეთ ოსეთს, სამწუხაროდ ქართულ რეალობაში, ამ კონფლიქტსა და ზოგადად ცხინვალის ქეისს რატომღაც ირედენტიზმის კუთხით არ განიხილავენ და ყველა ერიდება მის განხილვას, არადა პრობლემის გადაჭრის მთავარი გზა პრობლემის აღიარება, სამწუხაროდ ამ კუთხით ჯერ -ჯერობით სწორი მუშაობა არ მიმდინარეობს.

ევროპის ირედენტისტულ შემთხვევებზე საუბრისას, აუცილებელი შევეხოთ ბალკანეთის რეგიონს, რომელშიც მრავლად გხვდება მსგავსი ფაქტები, თუნდაც სეპარატისტულ მოძრაბებს რომლებიც დაიწყო კოსოვოში ჰქონდა ირედენტული ხასიათი, რადგან სერბეთში მცხოვრებმა ალბანელებმა მოითხოვეს ალბანეთან შეერთება, შემდგომში პროცესები სხვაგარად წარიმართა და კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს, მიუხედავად ამისა შეუარაღებელი თვალითაც ჩანს რომ ამბოხის საფუძვლებში ირედენტიზმიც იკეთდებოდა.

ძალიან დიდი საფრთხეს შეიცავს, 2019 წლის თებერვალში მიღებული პრესპანის შეთანხმება, რომლის თანახმად მაკედონიას „ჩრდილოეთ მაკედონია“ ეწოდა, საბერძნეთი წლების განმავლობაში ბლოკავდა ამ საკითხს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც მოხდა შეთანხმება რაც ქვეყნების განცხადებით ხელს შეუწყობს თანამშრომლობას და უსაფრთხოებას რეგიონში. მიუხედავად ჩრდილოეთ მაკედონის ნატოში სწრაფისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეისა, არაერთი ექსპერტი ამ ქმედებაში ფარულ საფრთხეს ხედავს, რადგან ამ სახელიეთ მაკედონიელები ფაქტიურად აცხადებენ პრეტენზიებს, სამხრეთით მყოფი მეზობლის საბერძნეთის მიწებზე, ასევე შესაძლოა მათ ჰქონდეთ პრეტენზიები ბულგარეთან, მითუმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ მაკედონიელები საბერძნეთში, მცირე პროცენტულობით მაგრამ მაინც პირველ უმცირესობას წარმოადგენენ. თან ეს

შიში არც თუ უსაფუძვლოა, რადგა რეგიონშია რსებობს მსგავსი პრეცედენტი ჩრდილოეთ კვიპროსი, რომელიც მხოლოდ თურქეთის მიერ არის აღიარებული და მათ შორის დღემდე კონფლიქტური სიტუაციაა, თურქული მოსახლოებით დასახლებული მხარე ითხოვს ქვეყნის აღიარებას. მოგეხსენებათ იქ გაეროს ძალების მიერ შექმნილია ბუფერული ზონა და ხდება მათი მორიგეობია მშვიდობის სადარაჯოზე, მაგრამ პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება. ირედენტიზმის პრობლემას ვაწყდებით, ფინეთსა და ნორვეგიაში სადაც ძირითადი წამხალისებელი რუსეთის ფედერაციია. ერთ-ერთი მეტად ყურადღსაღები საკითხია ლვოვში მცხოვრები პოლონელებო, 10-საუკუნიდან მოყოლებული ეს ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა, იყო რეჩ-ჰოსპილიტას (პოლონეთ-ლიეტუის თანამეგობრობა) ავსტრის იმპერიის, უნგრეთის სამეფოს, ჰაბსბურგთა მონაქრიის, უკრაინის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის მეორე რესპუბლიკის შემადგენლობაში, შემდგომ საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის ოკუპაციაც იგემა თავზე, 1991 წლიდან კი უკრაინის შემადგენლობაში შედის, უამრავი პოლონელია დაბადებული ლვოვში და მათ აქვთ პირდაპირი მიმოსვლ, ფაქტობრივად მთავარი ღერძია უკრაინა-პოლონეთის მიმოსვლის. 2012 წელს პოლონეთში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის თითქმის 15 % აცხადებდა რომ დაიბადა პოლონეთის მეორე რესპუბლიკის შემადგენლობაშ მყოფ ტერიტორიაზე, რომელსაც ეკუთნოდა ლვოვი. 2010 წელს ქალაქ ვროცლავში მოეწყო აქცია „ გახდი თოვლის ბაბუა და აჩუქე საჩუქარი ლვოვში მცხოვრებ პოლონელებს“ პოლონელთა უმეტესობა თვლის რომ ლვოვი პოლონეთის ტერიტორია და მისი დაბრუნება დროის საკითხია, მშვიდი და მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად ფაქტია უკრაინასა და პოლონეთს შორისაც არებობს ნაღმი, რომელმაც შესაძლოა ძალიან სახიფათო აფეთქება გამოიწვიოს.

მეტად უცნაური სიტუაციია ამ კუხით ბრიტანეთში, კერძოდ ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიას შორის მიმდინარე დაპირისპირება რომელიც რელიგიურ ნიადაგზე მიმდინარეობს და პირიქით ხალხი ერთმანეთს გაემიჯნა

რელიგიის გამო, სწორედ აქ ვხვდებით სეპარატიზმის და ირედენტიზმის პარადოქსულ გამოვლინებას.

დღეს- დღეისობით ყველაზე ცხელი ქეისი, ისტორიულადაც და თანამედროვე მოვლენების გათვალისწინებით არის სამხრეთი ტიროლი, რომელიც იტალიის შემადგენლობაში იმყოფება, ის პირველი მსოფლიო ომის შემდგომ იქცა ანექსირებული იტალიის მიერ 1920 წლიდან კი მოსახლეობის ნაწილმა, რეპრესიებს ავსტრიაში გაქცევით დააღწია თავი, მიუხედავად დევნისა დღემდე აქ მოსახლოების უმეტესობას სწორედ ისინი წაროადგენენ - აქ აშკარად შეინიშნება იდენტური განსხვავება, სამხრეთ-ტიროლის მკვირდებს ავსტრია-გერმანიასთან უფრო მეტი ისტორიულ იდენტური კავშირი აქვთ ვიდრე იტალიელებთან, მოსახლეობის 2/3 ზე მეტი გერმანულენოვანია, გერმანულენოვანი მოსახლეობა თავს ავსტრიელებად მიიჩნევენ, ბოლცანოს პარლამენტის ყოფილი (2014-18 წლებში) თავმჯდომარის,

ლუის დურნვალდერის მტკიცებით, ბოლცანოს მკვიდრი მოსახლობა თავს ავსტრიელი ერის ნაწილს წარმადგენს. მან ეს ტელევიიზით ORF[6]-ს ეთერში გააკეთა. აგრეთვე მისი განცხადებით ამ რეგიონის მკვიდრი სამხრეთ ტიროლელები არიან ავსტრიული უმცირესობა, რომელიც ცხოვრობს იტალიაში და არა იტალიის რეგიონში მცხოვრები იტალიელები, იმავე აზრისა ÖVP[7]-სპოლიტიკოსი ანდრეას კოლი. ბოლცანოს ყველაზე ძლიერი პარტიისSVP[8] მთავარი დევიზი კი შემდეგნაირად ჟღერს „ გერმანულენოვან მოსახლოებას აქვს პრეტენზია სულიერად კულტურულად და სოციალურად ეკუთნოდეს ავსტრიას“ 2008 წელს, იმავე პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამაში რეგიონი უცხოეროვან სახელმწიფოდ არის მოხსენიებული. მწვანეთა პარტიის წარმომადგენელის ევროპარლამენტარი ზე კუსტაჩერის თქმით, ბოლცანოს მკვიდრნი სამხრეთტიროლელები ავსტრიელები არიან. ავსტრია- იტალიის საზღვარზე და მთლიანად სამხრეთ ტიროლში, ხშირად

[6]*ავსტრიული სამაუწყებლო ტელევიზია
[7]*ავსტრიის სახალხო პარტია
[8]*სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტია

შეხვდებით ბანერზე ასეთ ფრაზას „Süd-tirol ist nicht Italien“ იხ. დანართი#1 (სამხრეთ-ტიროლი არ არის იტალია). ავსტრიის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობსრეგიონი ტიროლი, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება სამხრეთ-ტიროლს, ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს მდგომარეობას.

1916 წლიდან იტალიის ფაშისტურმა ხელისფლებამ დაიწყო, რეგიონის ადგილობრივები დასახელებების შეცვლა, მათი მიზანი იყო ყველა გერმანული ტოპონიმი შეცვლილიყო იტალიურით ან ლადინურით[9], რასაც ადგლიობრივი მოსახლეობის დიდი პროტესტი მოყვა, მიუხედავად ამისა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში 12000 გერმანულ დასახელებას მოუძებნეს იტალიური სახელი, იტალიანიზაციის მეორე ტალღა კი რეგიონში, იტალიელი მოსახლოების ჩასახლებით დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. იტალიზაციისის რამდენიმე მაგალითის თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ნიმუშებს:

ძველი გერმანული სახელი- იტალიურად გადაკეთებული

BOZEN - BOLZANO

MERAN - MERANO

GRUNSEE - LAGO VERDE

GOSSENSAB - COLLE ISCARO

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა, გერმანულ ენოვანი მოსახლეობა დღესაც უმრავლესობას წარმოადგენს, ისინი მოსახლეობის 63 % შეადგენენ ხოლო იტალიელები 28%-ს აქედა 23 % იტალიურად საუბრობს, ასე 5 პროცენტის ენა კი ლადინურია.

[9]*რომანული ენა რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ იტალიაში

ბოლცანოს პარლამენტში, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ აირჩევა, უმრავლესობას გერმანულ ენოვანი დეპუტატები წარმოადგენენ, 1945 წლიდან დღემდე მთავარი პარტია გახლავს „სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტია“ რომელიც გერმანულ და ლადინურ ენოვან მოსახლეობას წარმოადგენს ასევე დიდი პარტიები „ სამხრეთ ტიროლის თავისუფლება“ და „კავშირი სამხრეთ ტიროლისთვის“ გერმანულ ენოვანია, როგორც დამოუკიდებელ დეპუტატთა უმრავლესობა, რომელთა გაერთიანება მე-2-3-ე ძალა ხშირად პარლამენტში. ბოლცანოს პარლამენტშ 35 მანდატია, აქიდან 27-28 მანდატს გერმანულ ენოვანი პოლიტიკოსები ფლობენ, რაც ბუნებრივია კიდევ უფრო ზრდის მათ გავლენას. ირედენტიზმის სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებს ეკონომიკა, 2007 წლიდან მოყოლებული რეგიონში მოსახლეობის 3 % ნაკლებია უმუშევარი, რაც იტალიის სხვა რეგიონებისგან რადიკალურად განსხვაბეული, ჩრდილოეთ რეგიონებში ის 5% მეტია, ხოლო სამხრეთში კიდევ უფრო მეტი, ერთ სულ მოსახლეზე მიღებული შემოსავლის მიხედვით რეგიონი საუკეთესოა იტალიის მასშტაბით, რის ფონზე აქაც ვხვდებით ფისკალურ პრობლემას. თუ ეს ყველაფერი იტალიის მასშტაბით მეტად კარგია, საპირისპირო ვითარება ავსტრიაში მდებარე ტიროლთან მიმართებაში, ბოლცანოს მკვიდრის პენსია 250 ევროთი ნაკლებია ტიროლში მყოფი მოსახლეობისა, ბოლცანოში მუშა 1000 ევროთი ნაკლებს იღებს, ხოლო. მრავალშვილიანი ოჯახი კი 2500 ევროთი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მათ ინტერესს ტიროლის გაერთიანების შესახებ. პარალელურად იტალიის მეტად ხისტი პოზიცია კიდევ უფრო ამძმებს ამ პრობლემას, იტალიელები აგებენ ეკონომიკური კუთხით, გარდა ამისა მათი დიპლომატიური ნაბიჭებიც მეტად არაეფექტიანია, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სამხრეთ ტიროლის სწრაფვას ავსრტრიისკენ.

2.2.საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა სეპარატიზმის და ირედენტიზმის დაძლევის საქმეში - გაერო, ეუთო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციებს უდიდესი როლი აკისრიათ სეპარატიზმთან ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ სეპარატიზმისა და ირედენტიზმის საკითხის მოგვარებაში უმეტესწილად პოლიტიკა თამაშობს გადამწყვეტ როლს, მხარეებს სამართლებრივი მხარდაჭერაც სჭირდებათ. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ცალმხრივი სეცესია დაშვებულია კოლონიურ ან უცხო ქვეყნის ოკუპაციის ქვეშ მყოფ ერთეულთათვის. ამ სამართლებრივი უფლებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დეკოლონიზაციის შედეგად ასამდე სახელმწიბო შეიქმნა. ახალი სახელმწიფოს შექმნისას, თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ უნდა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. გადამწყვეტია იმ ქვეყნის პოზიცია, რომელსაც გამოეყო ტერიტორია. თუ ქვეყანა არ აღიარებს ახალ სახელმწიფოს, საერთაშორისო საზოგადეობა თავს იკავებს მისი ცნობისგან- გარდა დეკოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ქვეყნებისა, ვერც ერთი სეცესიონისტური ქვეყანა ვერ გახდება გაეროს წევრი. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. ჰყავდეს მუდმუვი მოსახლეობა; 2,

ფლობდეს განსაზღვრულ ტერიტორიას 3. ჰყავდეს მთავრობა4. ჰქონდეს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის შესაძლებლობა.[10]

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო საჯარო სამართლის ყველაზე უფრო ზოგადი, საბაზისო და საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფოთა სამართლებრივი ქცევის წესები, რომლებიც მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის საფუძვლად ითვლება და გამოხატავს საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებასა და ინტერესებს; ისინი, კაცობრიობის განვითარების პროცესის შედეგად, დღეისათვის დამკვიდრებულ, ზოგადსაკაცობრიო მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს ეფუძნება და სავალდებულოა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებულ ყველა სახელმწიფოსა და სხვა სამართლებრივი სუბიექტებისათვის.[11] საერთაშორისო სამართლის ყოველი ძირითადი პრინციპი იურიდიული ნორმაა და მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სახელმწიფოებისათვის, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან შედარებით, უპირატესი ძალა აქვს.[12]

გაერო და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები მკაცრად ემიჯნებია, განცხადებებით თუ დეკლარაციებით სეპარატიზმს რისი ნათელი მაგალითიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შემთხვევა, გარდა ამისა სამშვიდო ჯგუფები, გაეროს ეუთოსი და სხვანი დიდ როლს თამაშობენ, მონიტორინგის და ბორდერიზაციის საკითხის შეჩერებაში, კონფლიქტის მოგვარების საკითხსა და მედიაციის როლში.

---

[10] სეპარატიზმი თანამედროვე ევროპაში ტაბულა 2010წელი 29 მარტი. გვ.1. (ბოლო ნახვა 13.06 2020) http://www.tabula.ge/ge/story/52362-separatizmi-tanamedrove-msoflioshi

[11]ალექსიძე , ლ ., გიორგაძე , ლ ., კვაჭაძე , მ ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონიცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ. 283

[12]ალექსიძე , ლ ., გიორგაძე , ლ ., კვაჭაძე , მ ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონიცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ. 283

მიუხედავად ზემოთ-ჩამოთვლილი ფაქტორებისა, საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხებშია რის მინუსები და ლაფსუსები, გარდა ამისა ორმაგი სტანდარტებიც შეიმჩნევა, ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპი, საზღვრების ურღვეობის პრინციპი და თვითგამორკვევა ერთმანეთს ეჯახება, ასეთ დროს ბუნებრივია მთავარ როლს პოლიტიკა თამაშობს, უფრო სწორი ვიქნებით თუ კი ვიტყვით დიდი ქვეყნების პოლიტიკური ინტერესები, კონკრეტული რეგიონის მიხედვით, ამის ნათელი მაგალითია კოსოვო აღიარება. მიუხედავად მისი დამოუკიდებლობისაც დღემდე ვაწყდებით არაერთ პრობლემას, რამდენიმე ქვეყანა დღემდე არ აღიარებს მათ, მაგალითად საქართველო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და იმისმიუხედავად, რომ კოსოვო d დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოადგენს, კერძოდ, ის გაერთიანებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, იგი დამოუკიდებელი დელეგაციით წარსდგა მსოფლიო ოლიმპიადაზე 2016 წელს და გამოდის საერთაშორისო საფეხბურთო და საკალათბურთო ტურნირებზე საკუთარი დელეგაციით. დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური ვითარება კოსოვოში ძალზედ რთულია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სერბეთის სარჩელი და მიიღო გადაწყვეტილება, რომკოსოვოს ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მოეპოვებინა დამოუკიდებლობა.[13] თუმცა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით, კოსოვო ვერ გადაიქცა სრულყოფილ სამართლის სუბიექტად, რადგანაც იმისათვის, რომ ქვეყანა იყოს სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, ის უნდა იყოს გაეროს წევრი; მიუხედავად იმისა, არსებობს კონკრეტული წესი ქვეყნის გაეროში მიღებისათვის, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციას და, საერთო კონსენსუსის საფუძველზე, რომელსაც მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი,

[13]Richemond - Barak, D., The International Court of Justice on Kosovo: Missed Opportunity or Dispute 'Settlement'? Hague Yearbook of International Law, 2011, 12. გვ.1. ტექსტი ხელმისაწვდომიავებ-გვერდზე:<http://portal.idc.ac.il/ FacultyPublication.Publication?PublicationID=1616&FacultyUserName=YmFyYWsuZGFwaG5l>. 53 (ბოლო ნახვა 13.06. 2020)

საბჭო გაეროს გენერალურ ასამბლეას მიმართავს რეკომენდაციით, ხოლო გენერალური ასამბლეა, თავის მხრივ, ხმათა უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის გაეროში გაწევრიანების შესახებ. რუსეთისა და ჩინეთის მუდმივი წინააღმდეგობის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით, კოსოვოს პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ვერ ხერხდება.[14]

საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთი კრიტიკოსი საუბრობს, რომ ადრეული პერიოდში განსაკუთრებით 21-ე საუკუნემდე, არსებობდა არაფორმალური ტერმინი ე.წ. „მდიდრების სამართალი"- რომელიც გულისხმობდა, ძლიერი ქვეყნების ინტერესების გატარებას და მათი პრინციპებით მოქმედებას, ხშირად ხდება ამ კუთხით თანამედროვე საერთაშორისო სისტემასთან პარალელის გავლება, ფაქტია საერთაშორისო სამართალში არსებობს ხარვეზები, რომლის გამოსასწორებლად ორგანიზაციებმა ბევრი უნდა იმუშაონ, რათა არ მოხდეს ორმაგი სტანდარტების დაწესება, რაც გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა მაპროვოცირებელ იქნას არაერთი სეპარატისტული მოძრაობისა, შემდგომში კი მასშტაბური და გლობალური ომის.

[14] საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე, ნიკა ჩიტაძე ქეთევან ჯებისაშვილი ტომი 1/ 2019

3.1.კავკასიის რეგიონის მთავარი სეპარატისტული გამოწვევები და მათი ანალიზი

კავკასიის რეგიონი ყოველთვის გამორჩეული იყო, კულტურულ -რელიგიური განსხვავებებით, აქ ისტორიულად სახლობდა სხვადასხვა ეთნოსის და აღმსარევლობის ტომები, რომლებმაც შემდგომ სახელმწიფოები და გაერთიანებები შექმნეს. ბუნებრივია ასეთ მრავალფეროვან ეთნიკური სილაჟვარდე, დროთ განმავლობაში გამოიწვევდა დაპირისპირებულ მხარეებს, დღეს ვეცდებით მიმოვიხოლოთ ეს რეგიონები და მათ შორის დავინახოთ მსგავსებები და განსხვავებები. რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან კერაზე გავამახვილებთ ყურადღებას. გარდა ამისა სამხრეთ კავკასის გეოგრაფიული გარემო იწვევს კიდევ უფრო მეტ ინტერეს ამ რეგიონის მიმართ, მოგეხსენებათ ის ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და აქ არაერთ ისტორიულ სავაჭრო გზას გაუვლია და დღესაც ფლობს ეს რეგიონი ამ დიდ პოტენციალს, ბუნებრივია ყოველივე ზემო ჩამოთვლილი შედის დიდი ქვეყნის ინტერესებში, ეს ქვეყნები თავის მხრივ ხშირ შემთხვევაში, ახალისებენ სეპარატისტილ პროცესებს რეგიონში. აქ შესაძლებელია წავაწყდეთ

ისეთი დიდი და რეგიონული თუ მსოფლიო ჰეგემონიისთვის მებრძოლი ქვეყნების ინტერესებს, როგორებიც არიან : რუსეთი, ამერიკა, ირანი, თურქეთი.

უპირველეს ყოვლისა აუცილებლად უნდა შევეხოთ, ჩვენი მეზობელი ქვეყნების დაპირისპირებულ და სადა რეგიონს, მთიან ყარაბაღს, რომლისთვისაც პრეტენზიას სომხეთი და აზერბაიჯანი აცხადებს, გარდა რეგიონალური სტაბილურობისა აქ ჩვენს ქვეყანას შესაძლოა მედიატორის როლიც დაეკისროს აქიდან გამომდინარე, ჩვენთვის ეს კონფლიქტი მეტად ყურადსაღები და საგულისხმოა.

ყარაბაღი თურქულ-სპარსული სიტყვა და ქართულად „შავ ბაღს“ ნიშნავს. ყარაბაღი აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური ოლქია, დღემდე საერთაშორისო საზოგადოებისგან ის აზერბაიჯანის ტერიტორიად არის აღიარებული, სომხური წყარობეი კი მას „არაცხს“ -ად მოიხსენიებენ და დღევანდელ რეალობაში არ აღიარებულ „აღმოსავლეთ სომხეთად მოიხსენიებენ“ აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის 30 აგვისტის. ერთ თვეში მთიანი ყარაბაღის ავტონომიურმა ოლქმა მოიწვია კრება და განიხილა საკითხი აზერბაიჯანის დამოუკიდებლად ავტონომიის განაცხადის. 1991 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა რეფერენდუმი რომლის დროსაც მოსახლეობამ მხარი დაუჭირა აზერბაიჯანიდან გასვლას და დამოუკიდებლობას. ამა ყოველივემ ბიძგი მისცა სამომარ დაპირისპირებას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც თითქმის 3 წელი გრძელდებოდა. კონფლიქტის მოგვარებაში დღემდე ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, ეუთო და აშ. მაგრამ აქაც პოლიტიკურ ნებას ვხედავთ, აზერბაიჯანი ევროპულ მისწრაფებებს ამჟღავნებს პერმამენტულად და მას აქვს ევროპის ამერიკისა და საერთაშორისო თანაგემობრობის მხარდაწერა, რაც სწორედ არ აღიარების პოლიტიკაში გამოიხატება, ასევე თურქეთის იმედიც, ხოლო სომხეთს მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მთავარი სამართალ მემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ბუნებრივია საკუთარი ინტერესები აქვს რეგიონში, ამ პოლიტიკურ ჭიდილში იჭყლიტება პატარა ქვეყნების

და რეგიონის უსაფრთხოების ინტერესები, როგორც ზემოთ ვახსენე საქართველოს შეუძლია მედიატორის როლი იკისროს ამ კონფლიქტში და რეგიონშიც მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება. ყარაბაღის კონფლიქში არამხოლოდ სეპარატისტული არამედ ირედენტიზმული სარჩულიც იკვეთება რომელიც მსოფლიოში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ირედენტიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს, რომელსაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ ქეისადაც მოიხსენებენ, ქართულ რეალობაში ექსპერტები და პოლიტილოგები ახსენებენ სეპარატზმის, მაგრამ იშვიათად საუბრობენ ირედენტიზმზე, ეს საკითხი თითქოს ტაბუ დადებულია, არადა ჩვენ ვხვდებით აქ ოსური ირედენტიზმის მაგალითსაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც მეზობელ რეგიონებში ჩვენთანაც დაიწყო ავტონომიურ რეგიონებში, მეტად მძიმე და სისხლიანი პროცესები, 90 იან წლებში ცხინვალის რეგიონში დაიწყო გამოსვლები, ოსური მოსახლოების მიერ.

1989 წლის მონაცემების თანახმად, 164, 000 ამდე ოსი ცხოვრობდა საქართველოში. ეს ქვეყნის მოსახლეობოს 3% ამდე. ცხინვალში კი ოსები იყვნენ მოსახლოების 70%მეტი, კონფლიქტის შემდეგ მათმა დიდმა ნაწილმა, თითქმის ნახევარმა დატოვა ცხინვალი და გადავიდა ჩრდილოთ ოსეთში. მაგრამ თავის მხრივ ცხინვალის რეგონიდან ჯერ კიდევ 90% მოხდა ქართველი მოსახლეობის დაცლა, რაც კონფლიქტურ სიტუაციას უკავშირდებოდა. ცხინვალში სიტუაციის ჩაწყნარების შემდეგ დაახლოებით 500-600 ადამიანი დაბრუნდა ცხინვალში, არაოფიციალური ოსეთის ხელისუფლება კი ბევრად დიდი ციფრს ასახელებდა და ათასობით დაბრუნებულ ქართველზე საუბრობდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. 1990 წლის 20 სექტემბერს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ გან რუსეთის გარდა სხვა მხარდაჭერა არ ელოდა და ასეც მოხდა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა სიტუაციის გასამწვავებლად. ომმა უამრავი ადამიანი სიცოცხლე შეიწირა და ქართველების მასიური გამოძევება მოხდა რეგიონიდან. 2000 წლების დასაწყისში

თითქოს იყო მცდელობა და შედარებით დასტაბილურდა სიტუაცია, მოქმედებდა ცხინვალის ბაზარი რომელსაც პირდაპირი სახალხო დიპლომატის როლიც დააკისრეს, მაგრამ 2004 წლიდან დაწყებულმა პროცესებმა და 2008 წლის ომმა კიდევ უფრო გააღრმავა ეს უფრსკრული და ცხინვალსა და მისი მიმდებარე სოფლიებიდან მოხდა უამრავი ქართველის გამოძევება. აშკარა რომ ოსებს სურთ ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება და აქ ირედენტიზმის ნიშნები იკვეთება, მაგრამ ისინი ვერ მიდიან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და ბუნებრივია ეს მათ მისწრაფებას ცოტა არ იყოს კომიკურს ხდის. ფაქტია ოსური სეპარატიზმი და ირედენტიზმი წახალისებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, ქართულ მიწაზე და ქართული მიწის შეერთების ხარჯზე.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ გან განსხვავებით, წმინდა სეპარატისტული ნიშნებია აფხაზეთთან მიმართებაში. გარდა ამისა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სეპარატისტულ გზას დაადგა ის ხალხი ვინც რეგიონში უმცირესობას წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს პარადოქსულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონში მოსახლეობის 50% შეადგენდა ქართული მოსახლოება, 20 % მერყეობდა აფხაზების რაოდენობა, ხოლო დანარჩენს სომხები, რუსები და ბერძნები შეადგენდნე. გალში, ოჩამჩირესა და სოხუმში ეს მაჩვენებელი 60- 70% სცდებოდა. ისტორიულდ აფხაზეთი სამთავროში ყოველთვის იყვნენ დასახლებული დასავლეთ საქართველოს მცხოვრები ხალხი, მეგრელები და სვანები. ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია, აფხაზეთში მდებარე ტოპონიმების, ქართველური ენაში შემავალთა ჯგუფის წევრ მეგრულ ენა, რეგონის არაერთი ტოპონიმი ატარებს, ისტორიულ მეგრულ სახელს. აფხაზური სეპარატიზმი წახალისება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან იღებს სათავეს. პერმამენტულად ხდებოდა აფხაზების წაგულიანება, რისი ნათელი მაგალითია მათვის სლავურ კირილიცაზე ანბანის შექმნა, სხვადასხვა საბჭოთა ლიდერის არაერთი განცხადება, რომ აფხაზეთი არის ცალკე რეგიონი და თუ ქართველები არ გაჩერდებიან, აფხაზებს მათ დაუპირისპირებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან, აფხაზური სეპარატისტული მანქანა კიდევ უფრო

გაძლიერდა, იმართებოდა პერმამენტული შეხვედრები, აფხაზი ახალგაზრდების იდეოლოგიური ზომბირება ხდებოდა, რამაც საბოლოო ჯამში სამწუხაროდ შედეგი გამოიღო. 1990 წელს, ზვიად გამსახურიდია არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, აფხაზებმა კიდევ გაზარდეს აგრესია. მიუხედავად არაერთი მცდელობისა მშვიდობიანად მოგვარებულიყო პრობლემა, კონფლიქტი საბოლოო ჯამში საომარ სიტუაციაში გადაიზარდა,1993 წლის 27 მაისს კი სოხუმი დაეცა და მასობრივად მოხდა ქართველთა გამოძევება აფხაზეთის რეგიონიდა, ათასობით ქართველს მოუხდა იძულებით საკუთარი სახლ-კარის დატოვება. საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩარევის მიუხედავად, დღემდე დევნილებს არ ეძლევათ საკუთარ სახლში დაბრუნების უფლება, მიუხედავად ამ მძიმე ფონისა ცხინვალისგან განსხვავებით აფხაზეთთან მიმართებაში უფრო მეტი დიალოგის ალტერნატიული ვარიანტები არსებობს, თუნდაც სახალხო დიპლომატია, ენგურისი ხიდიდან აქტიურად ხდება სავაჭრო მიმოსვლა ზუგდიდში, ასევე სამკურნალოდ არაერთი ადამიანი გადმოდის, რასაც კიდევ უფრო ხელს უწყობს საზღვრისპირა სოფელ რუხში გახსნილი სავადმყოფო და სავაჭრო ცენტრი, მიუხედავად პერმამენტული აკრძალვებისა, სტუდენტები ახერხებენ უმაღლესში სასწავლებლად გადმოსვლას, ბოლო პერიოდში არაერთი აფხაზი პოლიტიკოსის განცხადება გვახსოვს, რომელშიც ღია თუ შეფარვით შეინიშნება მზაობა ქართველებთან დიალოგი, აფხაზეთის გასაღები გადის სამეგრელოს რეგიონზე, როგორც სახალხო დიპლომატია ასევე ეკონომიკური აღმასვლობა ამ რეგიონის ხელს შეუწყობს ურთიერთობების აღდგენას და დაახლოებას, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პოტენციალი და ეკონომიკური ბუმი, თავისთავად ხელს შეუწყობს დაახლოების პოლიტიკა და მსგავსი სხვა ეკონომიკური პროექტები. შედეგის მისაღებად აუცილებელია არამხოლოდ მთავრობის სწორი პოლიტიკა ასევე, საზოგადოების მზაობა და ერთიანი სურვილი. თითქოს რაც დრო გადის, ეტაპობრივად გვავიწყდება დროებით ოკუპირებული რეგიონების საკითხი, ახალ თაობაში ეს კიდევ უფრო ნაკლები დოზით არის წარმოდგენილი და აუცილებელი ამ საკითხზე მუშაობა, თითოეული ჩვენთაგანის

ფიქრი და აზროვნება სანამ არ იქნება მიმართული ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე და გამოსვალის ძიებაზე მხოლოდ პოლიტიკოსების განცხადებებით შედეგი ვერ დადგება.

3.2. ევროპის კონტინენტის მთავარი სეპარატისტული საფრთხეები და მათი შედარებითი ანალიზი

დღევანდელი ევროპის უდიდეს საფრთხელს წარმოადგენს, ის სეპარატისტული მოძრაობები რომლებიც ქვეყნებს შიგნით მიმდინარეობს, აქედან ნაწილი რეგიონების მოთხოვნა სესეციაა, ნაწილის კი უფლებების გაზრდა. სხვადასხვა რეგიონებში სეპარატიზმს სხვადასხვა მიზნები აქვთ, ამ ეტაპზე განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე ცხელი კერა სამხრეთ ევროპა.

სამხრეთელების ტემპერამენტი საქვეყნოდ ცნობილია, ევროპის ამ ნაწილში მცხოვრები ხალხი ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა, მეამბოხე სულით და უშრეტი ტემპერამეტით, რომელიც დღემდე თან სდევთ. ამ მუხტით განსაკუთრებით გამოირჩევიან ესპანელები და იტალიელები. დღეს დღეისობით თანამედროვე ევროოპაში სეპარატიზმის ერთ-ერთ მთავარ და მკვება რეგიონს წარმოადგენენ. მოდი განვიხილოთ ორივე ქვეყნის ამბოხებული, რეგიონები სათითაოდ და შევიტყოთ რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება მათი სეპარატიზმი. პირველ რიგში აუცილებელია მთავარი კერით კატალონიით

დავიწყოთ: რეგიონი იბერიის ნახევარკუნძულის უკიდურესჩრდილო-აღმოსავლეთნაწილში მდებარეობს.

კატალონიის სეპარატისტული ჯგუფები და მოძრაობები არამხოლოდ ევროპის არამედ მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. ის ემყარება ეკონომიკურ ბაზიის, მდიდარ და ძლიერ ისტორიულ კულტურულ ღირებულებებსა და ტრადიციებს, ხოლო მათი მთავარი იდეოლოგიის გამტარებელი დემოკრატიულად არჩევნების გზით არჩეული ადგილობრივი ხელისუფლებაა.

კატალონია ესპანეთის ისტორიული პროვინციაა, რომელიც დიდ ისტორიულ ქარტეხილებში მონაწილეობდა. აქ ბატონობდნენ კართაგენელები, რომაელები ვესტ გოტები და შემდეგ უკვე არაბები. რეკონკისტას 8 საუკუნოვანუი ისტორისს განმავლობაში (722-1492წლებში) აქ არსებობდა ბარსელონას საგრაფო, რომელიც ფრანკების ვახალი იყო, 987 წელს ვილფრედმა არ ცნო ჰიუგ კაპეტი და დე- ფაქტო დამოუკიდებლობას მიაღწია, 1137 წელს კი ბარსელონას გრაფმა რამონ ბერნეგერ -4 მე ცოლად მოიყვანა არაგონის დედოფალი პეტრონილია, რითაც შეუერთდა არაგონის სამეფოს. ამის შემდეგ უკვე არაგონის მეფე რამირო 2 გადადგა და არაგონის მეფედ ბარსელონას გრაფი ითვლებოდა. როგორც ვიცით ესპანეთის ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება 15 საუკუნეში ხდება 1469 წელს ვალიადოლში დაქორწინდნენ პირინეიზე ორი უდიდესი სამეფოს მემკვიდრეები კასტილიის დედოფალი იზაბელა და არაგონის მეფე ფერდინანდი. ამის შემდეგ უკვე ბარსელონას საგრაფო ერთიანი ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაშია.

შუა საუკუნეებში რეგიონი ყოველთვის სარგებლობდა უფლებების ძლიერი პრივილეგიებით, ჯერ არაგონიის შემდგომში კი ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში, მანამ სანამ XVII-XVIII საუკუნეებში დედაქალაქი მადრიდი მათი უფლებების და პრივილეგიების შეკვეცას არ შეუდგა. 1714 წელს, როდესაც ესპანეთის ისტორიაში ხისტი ცენტრალიზაციის პერიოდი დაიწყო კატალონიელთა ავტონომია გაუქმდა, ამას მოყვა კატალონიური ენის აკრძალვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

XIX საიკუნის მეორე ნახევრისთვის კატალონიაში კულტურული რენესანსი დაიწყო, ამ ფაქტმა რეგიონს სწრაფი ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ბუმი მოუტანა, პარალელურად ამ ყველაფერს დაემთხვა ესპანური სახელმწიფოს შიდა პრობლემები და დასუსტება. ამ ყოველივემ საფუძველი ჩაუყარა და ბიძგი მისცა კატალონიელთა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის რენესანს. ამ ყველაფრით ფრთა შესხმულმა კატალონიელებმა ავტონომიის აღდგენის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადების იდეა წამოაყენეს. როდესაც XX საუკუნის 30-იანწლებში ესპანეთში დესტაბილიზაცია დაიწყო კატალონიამ ავტონომიური უფლებები სერიოზულად გააფართოვა, მაგრამ სამოქალაქო ომში ფრანკოს გამარჯვება რეგიონის სტატუსის გაუქმება და რეპრესიები მოიტანა.

ზედა თავში ვისაუბრეთ კატალონიის ეკონომიკურ სიძლიერეზე, ეს რეგიონი ევროკავშვირის ბევრ ქვეყანასაც კი სჯობნის და ბუნებრივია ეკონომიკურმა სიძლიერემ კიდევ უფრო გაამყარა მათი მოთხოვნები.

კიდევ ერთი ფაქტორი რაც კატალონიელებს აგულიანებთ სპორტი, ხშირად გაიგონებთ ფრაზას სპორტი და პოლიტიკა გამიჯნული უნდა იყოსო, არადა სპორტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკაა , არც ის არის სადაო ფაქტი, რომ ოლიმპიადა და სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები ომის გაგრძელების თანამედროვე სახეა და იქ მიღწეულ წარმატება ქვეყნებისთვის ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. სპორტის წარმატება პირდაპირ არის მიბმული ეკონომიკურ აღმავლობასთან, რაც კატალონიაში წარმატებით ხორციელდება კატალონიური გუნდების წარმატებამ ეკონომიკურ ბუმს ხელი შეუწყო.

21 საუკუნის დასაწყისში კატალონიელები საგრძნობლად მოძლიერდნენ როგორც კალათბურთში ასევე ფეხბურთში, კალათბურთში ტოლ სწორს არ უდებენ მადრიდელებს და ევროასპერეზზეც საკმაოდ ხშირი იყო მათი წარმატება, მაგრამ მთავარი მაინც ფეხბურთია. არააქვს მნიშვნელობა ფეხბურთში როგორ ერკვევი,

ყველას ერთხელ მაინც გვაქვს სიყვა „ბარსა“ მოსმენილი, მოსმენილი კი არა ბოლო ათწლეულის საფეხბურთო ბრენდად იქცა კატალონიის ბარსელონა, რომელმაც თავისი ულამაზესი სათამაშო სტილით „ტიკი-ტაკა“ ევროპაში დომინაცია დაამყარა 2006 წლიდან(4ჩემპიონთა ლიგა, 10ლა ლიგა, 7 სამეფო თასი) ყველას დაგვამახოვრა თავი, კატალონიელები მადრიდელებთან დაპირისპირება ყოველთვის ატარებდა სეპარატისტულ დაპირისპირება, ხშირი იყო ფიზიკური დაპირისპირება და კამათი. ესპანეთის ჩემპიონატის და თასის მოგების შემდეგ, გულშემატკივრებისკან კი არა ხშირად კატალონიელი ფეხბურთელებისგანაც მადრიდელების მიერ ნასროლ ფრაზას“ თქვენი ჩემპიონატი მოვიგეთ, ახლა კი თქვენი მეფის თასაც დავეუფლებით“ ხშირად გაიგებთ. მსგავსი განცხადებების გამო ხშირად კატალონიელთა მცველი ჟერად პიკე სკანდალში გახვეულა, იყო საუბარი მისი ესპანეთის ნაკრებიდან მოკვეთასთან დაკავშირებით

წინა სეზონის ჩემპიონობის შემდეგ კატალონიელებმა გულშემატკივრება, მადრიდელებს ტრიბუნიდან უმღერეს“ მიესალმეთ ჩემპიონებს მადრიდელო ნაბიჭვრებო“

ხედავთ ალბათ, რამხელა გესლი და ღვარძლია ამ სიტყვებში, ან რა დაკვირვება სჭირდება ერთხელ მაინც თუ შეგიხედავთ მადრიდის რეალისა და კატალონიის ბარსელონას საფეხბურთო თუ საკალათბურთო დაპირისპირებისთვის ადვილად შემჩნევდით რა ხდება, მოედანზე თუ მის გარეთ.

საკლუბო ჩემპიონატის გარდა ესპანელები ბოლო წლებში სანაკრებო ტურნირებზეც დომინირებდნენ ორი ევროპის და ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი(2008, 2010, 2012 წლებში) ნაკრებში ბუნებრივია გვერდი-გვერდ უწევდათ თამაში კატალონიელებს, ბასკებს და მადრიდელებს, თითქოს ეს წარმატებები უნდა ყოფილიყო ერთიანობისკენ წინ გადაგმული ნაბიჯი, მაგრამ პირიქით . კატალონიელები თვდილდნენ რომ ეს წარმატება უპირველესად მათი რეგიონიდან

მოდიოდა და დანარჩენი ესპანეთის წვლილი ძალიან მწირი იყო, სეპარატისტულ მისწრაფებებში ნამდვილად ვერ გადავყვები კატალონიელებს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს რომ ამ შემთხვევაში მათ რაღაც დოზით მაინც დავეთანხმოთ, რადგან (2008 და 2010 წლის ფორუმებზე) ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ძირითადი 11 წევრიდან 7-8 ფეხბურთელი მუდამ კატალონის ბარსელონას წარმოადგენდა). მაგრამ არც ის ფაქტი ივარგებს რომ იკერ კასილას, მარკო სენას ხაბი ალონსო და სერხიო რამოსს დავუკარგოთ ღვაწლი ამ წარმატებაში. ყველაფრის მიუხედავად ფაქტი ფაქტდა რჩება და კატალონიელებს დღემდე საკუთარ კიდევ ერთ უპირატესობად ფეხბურთს თვლიან.

მიუხედავად კატალონიის ეკონომიკის მსგავსი სიძლიერისა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისი ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული დანარჩენ ესპანეთზე და რაღათქმაუნდა ევროკავშვირზე, რომლის წევრიც არის ესპანეთი. აქედან გამომდინარე კატალონიელთა მოთხოვნა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საფრთხელს უქმნის თავად მათ სეცესიის შემთხვევაში მას ეკონიმიკურად უდიდესი პრობლემები შეექმნება, მით უმეტეს გასათვალისწინებელია ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზუს სიტყვები, რომლის მიხედვითაც ყოველმა ახალმა სახელმწიფომ თავიდან უნდა განაცხადოს თავისი სურვილი ევროკავშვირის წევრობის შესახებ და გაიაროს მთელი რიგი პროცედურები, ეს კი ნიშნავს, იმას რომ დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია, კატალონია ევროკავშვირის წევრი ავტომატურად ვერ გახდება სხვა შემთხვევაში კი ესპანეთი როგორც ევროკავშირის წევრი ამ ინიციატივას ყოველთვის დაბლოკავს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა ევროპელი პოლიტოლოგები და ეკონომისტები თანხმდებიან, რომ „ კატალონია იგივეა ესპანეთისთვის, რაც გერმანია ევროკავშვირისთვის“.

სამართლებრივი არგუმენტით სეცესიის პრაგმატულ თეორიის მიხედვით ეთნიკურ ჯგუფს მაშინ აქვს უფლება მითხოვოს სეცესია თუ ცენტრალური ხელისუფლება სისტემატურად ახორციელებს ამ რეგიონის ეკონომიკურ „ ძარცვას „ ანუ ადგილი აქვს შიდა კოლონიზაციას. ამ მხრივ ძნელი სათქმელია აქვს თუ არა ესპანეთის მხრიდან ადგილი შიდა კოლონიზაციას. ორივე მხრივ შეიძლება მტკიცება და უარყოფის უამრავი მაგალითის მოძიება. მე ვფიქრობ სავსებით შესაძლებელია კატალონიის ეკონომიკური საკითხების მოგვარება ესპანეთის ცენტრალური ხელისფლების მხრიდან ფისკალური რეფორმის გზით და მცირე პრივილეგიებით შესაძლებელია კატალონიელებმაც შეიცვალონ აზრი.

2014 წელს კატალონიის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმი დანიშნა ბუნებრივია ეს ყოველივე, ცენტრალური მთავრობამ და საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ კატალონიელებმა მოძებნეს გამოსავალი და რეფერენდუმის ნაცვლად გამოკითხვა ჩაატარეს სადაც 80% მეტმა ხმა მისცა დამოუკიდებლობას.

2017 წლის 1 ოქტომბერს კი კარლეს პუჩდემონის ლიდერობით კატალონიელებმა რეფერენდუმი გამათეს, ამომრჩეველთა 90% მეტმა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას, ცენტრალურმა მთავრობამ ბუნებრივია უარყო და არაკანონიერად ცნო ეს შედეგები, პუჩდემონი კი ამტკიცებდა კატალონიელმა ხალხმა გამარჯვება მოიპოვაო, ესპანეთის პრემიერმა კატალონიის მთავრობა დაითხოვა და პუჩდემონის დაკავების ბრძანება გასცა, რეგიონში კი პოლიციამ აღადგინა წესრიგი/

აღნიშნული გადაწყვეტილება ესპანეთის პრემიერ მინისტრმა რახოიმ მას შემდეგ მიიღო, რაც ესპანეთის სენატმა ქვეყნის კონსტიტუციის 155-ე მუხლი აამოქმედა, რაც ცენტრალურ მთავრობას ავტონომიის სტატუსის შეჩერების უფლებას

აძლევს.[15] 21 დეკემბერს კატალონიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 80%-ზე მეტმა მიიღო, რაც კატალონიის რეგიონული არჩევნებისათვის რეკორდული მაჩვენებელია.დამოუკიდებლობის მომხრე პარტიები: ერთად კატალონიისათვის, კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკური პარტია და სახალხო ერთობა ამ შედეგებით ჯამში 135 ადგილიან პარლამენტში 70 ადგილს მოიპოვებენ.

კატალონიის ყოფილმა პრეზიდენტმა, კარლოს პუჩემონმა ბრიუსელიდან გაავრცელა მიმართვა და ესპანეთის სახელმწიფო რეგიონულ არჩევნებში დამარცხებულად გამოაცხადა. მისი თქმით ამ არჩევნებში კატალონიამ გაიმარჯვა დაეს არის შედეგი, რომელსაც ვერავინ უარყოფს. მან ესპანეთის პრემიერ-მინისტრს, მარიანო რახოის მოუწოდა გააუქმოს მადრიდის პირდაპირი კონტროლი რეგიონზე და გაათავისუფლოს რეგიონის ყოფილი ლიდერები.ესპანეთის მმართველი სახალხო პარტიის კატალონიურმა ფრთამ საკუთარი არსებობის მანძილზე ყველაზე დაბალი მხარდაჭერა მოიპოვა. მათ ბოლო მონაცემებით მხოლოდ 3 ადგილი მოიპოვეს. იანვარში ახალ თავმჯდომარედ, როჯერდ ტორნეტი აირჩიეს.

კარლეს პუჩდემონი და კატალონიის სხვა ყოფილ ლიდერებს ესპანეთის პროკურატურა ბრალს ამბოხებაში, აჯანყებისაკენ მოწოდებაში და საჯარო ფინანსების არასწორ განკარგვაში სდებს, მას შემდეგ კარლეს პუჩდემონი რამდენჯერმე იქნა დაკავებულ -განთავისუფლებული ბოლოს ის გერმანიაში 25 მარტს დააკავეს, 6 აპრილს კი გერმანიის სასამართლომ გირაოს, 75,000 ევროს,

[15] რას გვეუბნება ესპანეთის კონსტიტუცია მუხლი 155? Article 155 of the Spanish Constitution. გვ.1. 2017 წელი 26 ოქტომბერი (ბოლო ნახვა 14. 06. 2020)
https://inalskua.wordpress.com/2017/10/26/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98/

სანაცვლოდ გაათავისუფლა.ესპანეთის ხელისუფლებამ პუჩდემონის დაკავების საერთაშორისო ორდერი 23 მარტს გამოსცა.

კარლეს პუჩდემონს ბრალი მათ შორის კატალონიის არაკანონიერი რეფერენდუმის ჩატარებისა და ამბოხისკენ მოწოდებისთვის ედება. მას ესპანეთში 25 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ბევრი თვლის , რომ ესპანეთის მთავრობამ ძალიან კარგად იმუშავა და კატალონიაშ სიტუაცია შედარებით ჩაწყნარდა, მაგრამ სანამდე? ფაქტია პუჩდემონში არ არის პრობლემა დღესაც კატალონიის პარლამენტში გამოყოფის მომხრეები უმრავლესობაში არიან, კატალონიისთვის დამოუკიდებლობის ბრძოლა არც პუჩდემონით , არც არტურ მასით და არც ჟერარდ პიკეთი დაწყებულა, აქ დამოუკიდებლობისთვის ბევრი სისხლი დაღვრილა და კატალონიელები ასე მარტივად არ დათმობენ, ცენტრალურ ხელისუფლებას ძალიან მძიმე და შესაძლოა დამთმობი პოლიტიკის გატარებაც მოუწიოს , როგორ ბრიტანეთს აქვს შოტლანდიის მიმართ(შოტლანდია შედის ბრიტანეთის შემადგენლობაში, მაგრამ სპორტულ , მუსიკალურ თუ სხვადასხვა ღონიზებაში ცალკე არის წარმოდეგნილ, რაც კატალონიის შემთხვევაში არ ხდება) თუნდაც ეკონომიკური რეფორმა და სხვა პრივილეგიები, რომლითაც შეძლებს კატალონიელებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას.

კატალონიის გამოყოფა იქნება მაგალითი რამდენიმე ავტონომიისთვის, ისინი მეორე დღესვე იგივე გზას დაადგებიან, მადრიდს ამის არ სჯერა და ამბობს რომ ვერცერთი ავტონომიური რეგიონი დღევანდელი კონსტიტუციით დამოუკიდებლობას ვერ მოიპვებს, თუმცა არსებობს რეგიონები სადაც დანაღმული ველია გალისია, ანდალუსია, კანარიის კუნძულებიც არ გამოვრიცხოთ, თუმცა მთავარი რათქმაუნდა ბასკეთია, რომელსაც ისტორიულად დიდი გამოცდილება აქვს ამ საკითხთან მიმართებაში, ისინი არავის დაუთმობენ პირველობას.

ბასკეთი ესპანეთის ავტონომიური გაერთიანება 1979 წლიდან, ბასკებს არანაკლები ისტორია აქვთ თავისუფლებისთვის ბრძოლის.

ესპანეთის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთ უდიდეს ავტონომია ბასკეთია, ათწლეულების განმავლობაში ეს რეგიონი ესპანეთისთვის ყველაზე დიდ სატკივარს დარმოადგენდა, ამ რეგიონის დამოუკიდებლობის იდეა საუკუნებს ითვლის, აქ სეპარატიზსტული მისწრაფებები ტერორიზმი გადაზრდილა რისი ნათელი მაგალითია, ტერორისტული ორგანიზაცია ეტა, რომელიც ბასკურ ნაციონალიზმს განასახირებდა, ხოლო თანამედროვე რეგიონის ნაციონალიზმი იდეა 19- საუკუნეში გაჩნდა და დღემდე გრძელდება, ეს არის გამოვლინება, რასაფც წლები და საუკუნები ინახავდა ბასკი ხალხი ავად თუ კარგად და დაგროვილი ემოციის გამოხატვა.

როგორც კატალონიის შემთხვევაში, ბასკეთანაც ფრანკოს მოსვლის პერიოდიდან კიდევ უფრო გამძაფრდა ბრძოლა და რეპრესიები ნაციონალიზმთან დაკავშირებით, ის ჯერ კიდევ მიგე პრიმო დე რივესას მართველობის წლებში შეინიშნებოდა.

ცნობილი მოვლენის გენრიკის დაბომბვის შემდეგ ფრანკომ სწრაფად დაიკავა ბასკეთი და გააუქმა ავტონომია, აიკრძალა ბასკური ენა საგანმანათლებლო სივრცეში ის მხოლოდ ეკლესიაშ იყო შემორჩენილი, ფრანკოს დიქტატურულ რეჟმთან ბრძოლამ ბასკები იძულებული გახადა სხვა ხერხისთვის მიემართათ და ეს ხერხი იყო მეტად მძიმე და საზიანო ტერორიზმი, 1959 წელს დაარსდნა ბასკთა ნაციონალისტური ორგანიზაცია ეტა - Euskadi Ta Askatasuna – ბასკებისსამშობლოდათავისუფლება[16] ორგანიზაცია პერმამენტულად ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს, მათი ყველაზე დიდი და გახმაურებული მკვლელობა გახლდათ, ესპანეთის პრემიერ მინისტ ლუის კარერო ბლანკოს მკვლელობა, ბასკეთში ხშირად გაიგონებთ ფრაზას, სადაც ისინი სიამაყით გეტყვიან რომ ესპანეთს არცერთ ომშ არ დაუკარგავს იმდენი გენერალი, რამდენიც ბასკებთან ბრძოლის დროს,80% წლებიდან ეტაში იწყება განხეთქილება ფრანკოს სიკვდილის შემდეგ თითქოს მათმა ორგანიზაციამ მიზნები დაკარგა, ეტა ორად გაიყო ერთ

[16]*ეტა- Euskadi Ta Askatasuna – ბასკების „სამშობლო და თავისუფლება“

პოლიტიკურ და მშვიდობიან გზას ადგა, ხოლო მეორე ისევ იარაღს და ძალადობას ირჩევდა დამოუკიდებლობისთვის 2000 იან წლებში ორგანიზაცია სულ ღაფავდა, მეტიც აიკრძალა მათი ნაციონალისტური პარტია ბატასტუნა რომელიც ეტას იდეებს იზიარებდა. დღეს -დღეისობით ბასკეთში სიტუაცია სტაბილურადა რადგან ეტამ 2011 წელს ბრძოლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა და დღევანდელო მდგომარეობით მოსახლეობის მხოლოდ 30% სურს დამოუკიდებლობა, ისინი ავტონომიისა და სხვა მიღებული პრივილეგიითაც კმაყოფილები არიან, მაგრამ ბასკები ხშირად მიმართავენ ცენტრალურ მთავრობას, რომ მათ იმაზე მეტი სურთ ვიდრე ეს არის ფისკალური და საგადასახადო პოლიტიკა, ისინი აქტიურად განიხილავენ შოტლანდიურ გზასაც, რაც ბოლო მოვლენების შემდეგ კიდევ უფრი აქტიური გახდა.

ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რამხელა განსხვავება იდენტურად მათ შორის და რა რთული და ფრთხილი პოლიტიკის გატარება უწევს ესპანეთის ცენტრალურ მთავრობას.

ნათლად ჩანს რომ ესპანეთი ერთ-ერთი ყველაზე დანაღმული ველია ევროპაში, კატალონიის და ბასკეთს დომინოს ეფექტით მიჰყვება ანდალუსია სადაც არაბული მოსახლეობის გავლენა იგრძნობა, მაგრამ ფაქტია ისიც რომ ყველა რეგიონს განსხვავებული მიზნები აქვს, შესაძლოა რომელიღაც რაღაც დოზით ნამდვილად იმსახურებდეს მეტ პრივილეგიას, მაგრამ ეს ხომ არ გამოიწვევს ესპანეთის დასასასრულს? ამიტომ ფრთხილობენ გულის სიღრმეში კატალონიელებიც და ბასკებიც.

ესპანეთიდან გადავინაცვლოთ იტალიაში, დავინჩის და დანტეს სამშობლოში საკმაოდ ტემპერამენტიანი ხალხი ცხოვრობს, უფრო სწორი ვიქნებით თუ კი ვიტყვით, რომ ყველაზე ტემპერამენტიანი ერია მთელს ევროპაში. ქვეყნის შიდა რეგიონებიც რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სწორედ იტალიიდან წამოვიდა ჟესტების ენა, რადგან იმდენად განსხვავებულად საუბრობენ იტალიის სხვადასხვა რეგიონებში, ხშირად ერთმანეთის გაგებაც უჭირთ. ბოლო დროს საკმაოდ

მომრავლდა იტალიაში სეპარატიზმული მისწრაფებები, ლიგურია, ლომბარდია, ვენეცია, ფრიული, ინსუბრია, პადანია, ვენეტო, სარდინია. სამხრეთ-ტიროლი.

ნიშანდობლივია, რომ ისინი ყველანი ჩრდილოეთ იტალიაში არიან განთავსებული, ჩრდილოეთელები ბევრად მებრძოლი და მშრომელი ხალხია, მათი ეკონომიკა საგრძნობლად უსწრებს სამხრეთელების და ჩრდილოეთში ხშირად შეხვდებით აქციებზე, ასეთ ბანერებს წარწერით: „ჩვენ არ გვსურს ღარიბი სამხრეთელების რჩენა“ განსაკუთრებით იგრძნობა ეს პროცესები , ლომბარდიასა და ვენეტონში (ლომბარდია ეკონომიკურად ერთ-ერთი წამყვანი მხარეა იტალიის რეგიონშ.) რაც შეეხება ვენეტოს აქაც საკმაოდ მძაფრი მდგომარეობაა, მოსახლეობის 80% მხარს უჭერს იტალიისგან გამოყოფას. თუ ესმოხდება მოსალოდნელია, აღდგენა უძლიერესი ვენეციური რესპუბლიკისა,რომელმაც შეწყვიტა არსებობა ნაპოლეონის დაპყრობის შედეგად. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან სურს იტალიიდან გამოყოფა პადანიას, ამ ინიციატივის უკან დგას ჩრდილოეთის ლიგა, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონს აერთიანებს და ისინი მზად არიან დღეს უკვე სახელმწიფოს გარდაქმნა ფედერაციად. მიუხედავად დაძაბული მდგომარეობისა, ჩემი აზრით იტალიაში სეპარატიზმი იმდენად მწვავე არ არი, როგორც მის მეზობელ ესპანეთში და ცენტრალური მთავრობის სწორი და დაბალანსებული ეკონომიკის ფონზე შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება.

ყოფილი იუგოსლავია იყო მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ცენტრალური ევროპიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე იყო გადაჭიმული, იუგოსლავიის ეს სივრცე ეთნიკური კონფლიქტების და სეპარატისტული მოძრაობების კუთხით განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას წარმოადგენს, სულ რამდენიმე ათწლელული გასტანა 6 რესპუბლიკის და 2 ავტონომიური პროვინციის ერთობამ. 1990იან წლებიდან აქ ეთნიკურ სეპარატისტული კონფლიქტის შედეგად, 5 სხვადასხვა სახელმწიფოდ დაიშალა და იმის მიხედვით თუ დღეს ვინ, ან როგორ (რა

კრიტერიუმით)დათვლის შესაძლოა 6 ან 8 სახელმწიფო მივიღოთ. ესენია : სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო. აშშ და გაეროს ქვეყნების უმრავლესობისგან აღიარებული კოსოვო და ავტონომიური პროვინცია ვოევოდინა, რომელიც სერბეთის შემადგენლობაში იმყოფება.

2003 წელს იუგოსლავიის რესპუბლიკამ ამ სახელით ოფიციალურად შეწყვიტა, არსებობა გაეროში ახალი კონსტიტუციით ფორმირებული სერბეთის და მონტენეგროს კავშირი ვიხილეთ. 2006 წლის 21 მაისს ჩერნოგორია რეფერენდუმის გზით და სერბეთს შეთანხმებით გამოეყო ამ კავშვირს და შეიქმნა ახალი სახელმწიფო მონტენეგრო. სერბები ამაზე შესაძლოა გულის სიღრმეში არ იყვნენ თანახმა, მაგრამ პროცესებმა მშვიდობიანად ჩაიარა. მათი უბედურება ამით არ დამთავრებულა „კოსოვო“ რომელიც არამხოლოდ სერბეთის მთელი ევროპის თავსატეხად იქცა, ბევრი თვლის რომ სწორედ კოსოვო გახდა მთავარი მაპროვოცირებელი ძალა დანარჩენ ევროპაში განვითარებული მოვლენებისა.

კოსოვოს რესსპუბლიკა გაეროს 106 წევრმა ქვეყანამ აღიარა, ეს სტატუსი დღემდე კამათის საქმეა, ზოგი მას ჯერ კიდევ სერბეთის ავტონომიად მოიხსენიებს სახელწოდებით „კოსოვოსა და მეტეოხის ავტონომიური რესპუბლიკა“ ბრიუსელის შეთანხმების საფუძველზე ახლა მთლიანად კოსოვოს მთავრობა აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიას და გაუქმებულია სერბეთის ავტონომია. ამავე შეთანხმების საფუძველზე სერბეთმა კოსოვო როგორც ავტონომია, აღიარა და არა სახელმწიფოდ. შიდა ეთნიკური დაძაბულობა კოსოვოში 1980-იან წლებში გაუარესდა. ამ პერიოდში აქტიურდება კონფლიქტის ლატენტური სტადია. 1986 წელს ეთნიკური მისწრაფებების და იუგოსლავიის ეკონომიკურ ეთნიკურ ტერიტორიებზე დამოუკიდებლობის გამო, ფედერაციული სახელმწიფო კონფედერაციულს დაემსგავსა. კოსოვოს ალბანელებმა დაიწყეს სეპარატისტული მოძრაობები და სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნა რისი მიზანიც საბოლოოდ დამოუკიდებლობის მიღება იქნებოდა, დაიწყო კონფლიქტების მანიფესტირებული

სტადია, რასაც გარკვეულწილად სეგრადაცია ედო საფუძვლად. 1990 წლის 2 ივლის კოსოვომ თავი რესპუბლიკად გამოაცხადა იუგოსლავიის შემადგენოლბაში, ხოლო 1991 წლის შექტემბერში მათ კონსტიტუციაც მიიღეს. 1992 წელს მან თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და მხოლოდ ალბანეთისგან მიიღო აღიარება. 1995 წელს დეიტონის შეთანხმება ბოლო მოუღო ბოსნიის ომს. საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაურკვეველი იყო კოსოვოში მიმდინარე მოვლენები, 1996 წელს კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ და ეთნიკურ ალბანელთა პარტიზანულმა ჯგუფმა ჩაანაცვლეს არაძალადობრივი მოძრაობები და დაიწყეს წინააღმდეგობის გაწევა სერბეთისა და იუგოსლავიის შეიარაღებული ძალებისათვის. 1997-99 წლებში ალბანური შეიარაღებული ამბოხის შემდეგ ნატომ 78 დღიანი თავდასხმა განახორციელა იუგოსლავიაზე, რათა კოსოვოს ომი შეეჩერებინა.1998 წელს დასავლეთის ინტერესები გაიზარდა და სერბეთის მთავრობაც მზად იყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისთვის ხელის მოსაწერად. 1999 წლის იანვარში რაჩაკის ინციდენტმა კვლავ მიიპყრო კონფლიქტის საერთაშორისო ყურადღება. მალევე გაიმართა კონფერენცია და მომზადდა პროექტი, სადაც კოსოვოს ავტონომია უნდა განახლებულიყო და ნატოს მშვიდობისმყოფელებს გაეკონტროლებინათ კონფლიქტის ზონა. სერბეთის მხარეს პირობები არ მოეწონა და უარი განაცხადა ხელის მოწერაზე. 1999 წლის 24 მარტს და 10ივნის ნატოს ძალბმა დაბომბეს იუგოსლავია, რათა აეძულებინათ მილოჩევიჩის ძალებისთვის კოსოვოდან გამოსვლა. ივნისში მილოშევიჩმა დაუშვა უცხოური საჯარისო ნაწილების ყოფნის ნებართვა, კოსოვოს ტერიტორიაზე და თავისი ჯარების გაყვანა ბრძანა . 1999 წელს გაეროს მისიამ კოსოვოში დაიწყო ადმინისტრირება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შემდეგ,[17] 2000 წლიდან კოსოვოს ომის შემდეგ გაეროს ძალებმა იკისრეს მმართველობით-ინსტიტუციური როლი. 2008 წლის 17 თებერვალს პარლამენტმა კოსოვოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მიიღო

[17],,გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია-1244“, 2000 წელი. გვა.1 ka.wikipedia.org/wiki/KFOR 2019 წელი 6 ნოემერი (ბოლო ნახვა 15.06.2020)

აღიარება რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან. იუგოსლავიის დაშლისას წარმოქმნილ კოსოვოს კონფლიქტში იყო სერბული და ალბანური ინტერესები, რომელბიც სერბეთის მაშინდელი, მაშინდელი ავტონომიის ტერიტორიაზე მიმდინარებდა. ტერიტორია იყო ქრისტიანული სერბეთის, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა კი მუსლიმი ალბანელებისგან შედგებოდნა. ეს კონფლიქტი შეეხო მთელს მსოფლიოს, მან გაეროს გარდა მიიპყრო, აშშ-ს, რუსეთის და ევროკავშვირის ყურადღება. აშშ საბჭოთა დაშლის შემდეგ ცდილობდა გავლენის სფეროების გაფართოებას და მხარს უჭერდა ალბანეთს. ასევე სურდა ეჩვენებინა ერაყისა და ავღანეთისთვის მისი დამოკიდებულება მუსლიმების მიმართ, ხოლო რუსეთი რომელიც გაძლიერებას ცდილობდა, მხარს უჭერდა სერბეთს და მოითხოვდა საერთაშორისო სამართლის პრინციპის დაცვას. ევროკავშვირის მთავარი მიზანი კონფლიქტის რეგულირება იყო და ორივე მხარესთან აქტიურად თანამშრომლობას გეგმავდა შემდგომი გაფართოების საფუძველზე. 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარაბამდე მოლაპარაკებების პროცესში ალბანეთი და სერბეთი თავიანთ მოთხოვნებს აყენებდნენ კოსოვოს საკითხთან მიმართებაში, ალბანეთიაქტიურად უჭერდა მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რადგან ეს მისი აზრით ერთადერთი გზა იყო კოსოვოელთა თვითგამორკვევისა და ძალადობის აღკვეთისა, რაც შეეხება სერბეთს, იგი წინააღმდეგი იყო დამოუკიდებლობის და ავტონომიის ფარგლებში კოსოვოს ეროვნულ სუვერენიტეტს სთავაზობდა. იგი კოსოვოს თავის ტერიტორიად მიიჩნევდა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული და მის დამოუკიდებლობას ბალკანეთის დესტაბილიზაციის პირველ ეტაპად თვლიდა.

ალბანეთი კოსოვოს ფაქტის უნიკალურობის საკითხს აღოარებდა, თუმცა სერბეთი მიიჩნევდა, რომ კოსოვოს შემთხვევა ბევრი სხვა შემთხვევის მსგავსია, ისეთების როგორებიცაა: ქურთისტანი, ქაშმირი, ბასკეთი, კვებეკი , აფხაზეთი და აშშ. ამ კონფლიქტებში ევროკავშვირი ცდილობდა ნეიტრალური როლი ეთამაშა რუსეთი და აშშ-ს გეოპოლიტიკურ ბრძოლაში და გაეროს ძალების დახმარებით მოეგვარებინა კონფლიქტი, ალბანეთთან და სერბეთთან კი ჰქონოდა კარგი ურთიერთობა. კოსოვოს

საკითხის პიკი 2008 წელი იყო, როდესაც მან გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 106 ქვეყანამ მხარი დაუჭირა. ამით კოსოვოელებმა და იმ ქვეყნებმა რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ პროცეს თავისდაუნებურად ხელი შეუწყვეს სეპარატიზმის გაღვივებას და დომინოს პრინციპით ევროპის ნგრევის პროცესი დაწყებას. შეგივიძლია ვთქვათ რომ სერბეთი დაშალეს მარტივ მამრავლებად.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სეპარატიზმი ევროპის უმთავრეს პრობლემად იქცა, ევროკავშვირი და ეუთოს ლიდერები ცდილობენ სეპარატიზმს არ მისცენ გასაქანი და ამით თავიდან აირიდონ ერთიანი ევროპის რღვევის პროცესი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ევროპაში რამდენიმე ახალი სახელმწიფოს შექმნის საკითხი დგას, გარდა ცხელი და რეზონანსული კერებისა სეპარატიზმი თითქმის მთელს ევროპაში მძინვარებს და სხვადასხვა სახით ჰპოვებს გამოვლინებას, მოდი ერთად გადავვლოთ თვალი და შევასოთ თუ სად რა საფრთხე შიეძლება იყოს დამალული.

უპირველეს ყოვლისა უნდა დავიწყოთ დიდი ბრიტანეთით

ევროპულ სეპარატიზმზე საუბრისაც აუცილებელი იყო განგვეხილა, „ნისლიანი ალბიონი“ დიდი ბრიტანეთი ხომ ერთობ საინტერესო და ამოუცნობი ფენომენია. აქ საკმაოდ პარადოქსული ვითარებაა. ბრიტანელები ყოველთვის ცალკე კუნძულად თვლიდნენ თავს, ევროკავშირში ყოფნის პერიოდშიც ისინი საკმაოდ დიდი პრივილეგიით სარგებლობდნენ, არ იზიარებდნენ იმ საერთო პუნქტებს რაც სხვა ევროპული ქვეყნებისთვის ერთი იყო,. მაგ: ფულადი სისტემა, საზღვრების კონტროლი, გადასახადები და სხვა. ბრიტანელები ევროკავშვირის უპირველესი სეპარატისტები იყვნენ და მიაღწიეს კიდეც შედეგს, მაგრამ საკითხავია „ბრექსიტმა“ რამდენად მოხერხა, ნისლიან ალბიონზე ერთიანობის შენარჩუნება?

შოტლანდია, ჩრდილეოთ ირლანდია და უელსი, არიან ის ქვეყნები, რომლებიც ნებაყოფლობით იმყოფებიან ამ გაერთიანებაში, მართალია ისინი სპორტულ

ფესტივალებზე ცალ-ცალკე გამოდიან, მაგრამ ეკონომიკა, თავდაცვა, სასამართლო და სხვა ძირითადი ორგანოები ერთი აქვთ. გაერთიანებული სამეფოს მიმართ ყველაზე მეტად სეპარატისტულად სკოტები არიან განწყობილი, მათ ამისთვის ისტორიულ-ეკონომიკური მსუყე ფაქტორები გააჩნიათ. შოტლანდიელების უმრავლესობას ფირქობს, რომ ინგლისში მყოფი მეფეები ყოველთვის ცდილობდენე შოტლანდიელების დაჩაგვრას და დღესაც გრძელდება ეს , უბრალოდ თანამედროვე დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს, ბრიტანეთში დარჩენას 55% დაუჭირა მხარი, მაშინ ამ ყველაფრის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, ის რომ ცალკე სახელმწიფო შოტლანდიას თავიდან მოუწევდა ევროკავშირში გაერთიანებისკენ მიმავალი გზის გავლა, თან დიდი ბრიტანეთის სამეფო ამას ყოველთვის დაბლოკავდა, მაგრამ ბრექსიტმა და შემდგომ კატალონიის მოვლენებმა შეაგულიანა სკოტები, ფაქტია ბრიტანეთისთვის შოტლანდია ნაღმს წარმოადგენს, შოტლანდიელების სეპარატიზმი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მე-20 სუაკუნის 60 იანების ბოლოს ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობი აღმოაჩინეს, უკვე წლებია შოტლანდიის უკმაყოფილება გამოწვეულია იმით, რომ ბრიტანეთისგან კარგავს ნავთობისგან მიღებული შემოსავლის დიდ ნაწილს, ასევე ის ვალდებულია გადაიხადოს , ბირთვული იარაღის და სამხედრო ხარჯები საზღვარგარეთ, იმ დროს როცა შოტლანდიისთვის პრიორიტეტულია, ააშენოს სამართლიანი, სოციალურად პასუხისმგებლიანი საზოგადეობა. შოტლანდიელი სეპარატისტები ბირთთვულ იარაღს მიიჩნევენ, არა აქტიურად და ხაზს უსვამენ, იმ ეკონომიკურ სარგებელს, რაც შეიძლება მოიტანოს ბირთვული იარაღის საფრთხემ. შოტლანდიის მთავარი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკაა, მაგრამ ისინი ასევე აცნობიერებენ გაერთიანებული სამეფოდან გასვლის შემდგომ პრობლემებს, რომელიც შოტლანდიისთვის შესაძლოა ბევრად მძიმე აღმოჩნდეს. ვიდრე დღევანდელი ფისკალური პრობლემა.

ბრექსიტის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობები ჩრდილოეთ ირლანდიაში, გარდა ამისა ინგლისიც მრავალფეროვანი აქტიური სეპარატისტული რეგიონებით გამოირჩევა: იორკშირი ნორზამბერლენდი, ვესექსი, მერცია, დევოუნი, ქორვოლი. ამ ყველაფრის მიუხედვად ნისლიან ალბიონზე, ნისლზე და ბურუსზე მეტად გაერთიანებული სამეფოს მზე კაშკაშებს.

პოტენციური საფრთხე და ნაღმი გვხვდება ბელგიაშიც ფლოანურ ზონაში სერიოზულად განიხილავენ ახლო პერსპექტივაში გამოყოფის საკითხს. უძლიერესი პარტია NVA (ახალი ფლამანდური ალიანსი)ამ საკითხს მხარს უჭერს. ბელგიის ნაცინალიზმის წარმოშობა ჯერ კიდევ მე- 19 საუკუნიდან იწყება, რაც მიმართული იყო ეთნიკური და ლინგვისტური ბარიერის დაძლებისკენ.

1899 წლამდე ევროპის შუაგულ ბელგიაში ერთადერთი ოფიციალური ენა იყო ფრანგული, მიუხედავად ამ ფაქტისა ფლანდრიელები არ ერიდებოდნენ რეგიონში ჰოლანდიურად საუბარს, ბუნებრივია მათ გაუჩნდათ სურვილი ნიდერლანდური ენის სახლმწიფო ენად გამოცხადების, რაც ცენტრალური ხელისუფლებისგან იყო უარყოფილი, ამ ფაქტმა ფლანდრიელებში პროტესტი გამოიწვია, ისინი ამ ყველაფერში ფრანგულენოვან ბუჟუაზიას ადანაშაულებდნენ. ამ შემდეგ ისინი აქტიურად შეუდგენენ რეგიონში ნიდერლანდური ენის პოპულარიზაციას და საკუთარი უფლებების დაცვას, მათი მიზანი არამხოლოდ ენის დაკანონება არამედ ფლანდრიულ ნიდერლანდური კულტურის და ისტორიის შენარჩუნება იყო, მიუხევად პრივილეგიებისა დღესაც კი ფლანდრიული მოძრაობის სახედრო ჯგიფები მხაეს უჭერენ რეგიონის დამოუკიდებლობასა და ვალონიისგან გამოყოფას, ეს სამხედრო ნაწილი ასევე მხარს უჭერს ნიდერლანდებში გაერთიანებასაც.[18]

---

[18],,სეპარატიზმი თანამედროვე მსოფლიოში, ბასკეთისა და ბელგიის მაგალითზე“ 2018 22 თებერვალი (ბოლო ნახვა 15.06.2020) .გვ. 1
http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/95178-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%

ბელგიაში მიმდინარე რევოლუვიური მოძრაობიდან წლების შემდეგ ფლანდრიელმა ინტელიგენციამ დაიწყო აღიარება ნიდერლანდური ენის და ფლანდრიული კულტურის ბელგიაში, ჩამოყალიბდა სხვადასხვა მსხვილი ორგანიზაციები გამოიცა ჟურნალ- გაზეთები და შეიქმნა სოციალურ ინტელექტუალური კლუბები, რომლებიც ხელს უწყობდა ისტორიისა და კულტურის გავრცელებას. მიუხედავად ამისა შეფრვუით ხდებოდა, ფრანგულენოვანი მოსახლეობის ჩასახლება და რეგიონის გაფრანგების მცდელობა, ყოველ დეკადაში ცენტრალური მთავრობა აღწერის შემდეგ ცდილობდა კიდევ უფრო გაეზარდა, ფრანგების პროცენტულობა ნიდრლანდურ რეგიონებში, მაგრამ ფლამანდრიელების ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია და ამ ყველაფრის ფონზე ბრიუსელი აღიარებულ იქნა ორენოვან რეგიონად, მაშინ როდესაც ფლანდრია და ვალონია ისევ მხოლოდ ფრანგულენოვნ რჩებოდა, ეტაპობრივად ფრანგულუი მოსახლეობაც კი თანახმა იყო და მთავრობას მიმართავდა, იმ რეგიონებში სადაც უმრავლესობას ფლანდრიელები შეადგენდნენ ჰოლანდიური დაეშვათ, მაგრამ მიუხედავად ამისა ბრიუსელის გარშემო ფრანგულენოვანი მოსახლეობა იზრდებოდა, სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრება მოჰყვა ფრანგულენოვან სკოლებში ნიდერლანდური ენის შემცირებას, ფლანდრიელთა მოძროაბა თავიდან დაიქოქა და ამ ყველაფერმა გარკვეული შედეგი და წარმატება მოინატან მაგალითად: 2010 წლის არჩევნებში 43 ფლანდრიელი გავიდა 88 კანდიტატიდა, დღეს-დღეისობით კი ფრანგულენოვანი მოსახლოების 42% ვალონური დიალექტის მატარებელი ხოლო 58% ნიდერნალდურია ანუ ფლამანდურია, ხოლო დარჩენილი 10% ორენოვანია . ეს მაჩვენებელი საკუთარ გამარჯვებათ მიაჩნიათ ფლამანდრიელებს და აკავებს კიდეც მათ სეპარატისტულ სურვილს, რეგიონის სიძლიერე კი არის ეკონიმკა, ვალონიისგან განსხვავებით ისინი

E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93

საგრძნობლად ძლიერ ეკონომიკას ფლობენ, რაც ბუნებრივია არის გარანტი სეპარატისტული საფრთხისა, რომელიც ამ ეტაპზე მიწყნარებულია/

არ უნდა დავივიწყოთ ტრანსილვანიის საკითხი, რომელიც აქტიურად ღვივდება , ამ მოვლენების იწნა პლანზე წამოწევას ხელი შეუწყო უნგრეთში მემარჯვენე ძალების გამარჯვება. ტრანსილვანია რომელიც ამჯერად რუმინეთსა და უნგრეთს შორის სადაო ტერიტორიას წარმოადგენს, 1867 წელს ავსტრო-უნგრეთის იმპერიის შემქნის შემდეგ ტრანსილვანია ამ იმპერიაში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, რუმინეთის სამეფო უკავშვირდება ანტანტას იმ პირობით, რომ ავსტრია-უნგრეთს ტრანსილვანია ჩამოეჭრებოდა და გადაეცემოდა რუმინეთს, რაც მოხდა კიდეც. 1940 წლის ვენის მეორე არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, რუმინეთმა უნგრეთს ჩრდილო ტრანსილვანია დაუთმო, 1947 წლის სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ ვენის 1940 წლის დიქტატი გაუქმებულია და ჩრდილო ტრანსილვანია რუმინეთს უერთდება.[19] 2007 წლიდან იქ მცხოვრები უნგრელები აქტიურად მოითხოვენ ავტონომიას დედაქალაქისგან და დამოუკიდებელ ურთიერთობას ბუდაპეშტთან. ტრანსილვანიაში სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აცხადებენ „ დრო უნგრული ავტონომისა დადგა“.

ერთი შეხედვით მულტიკულტურალიზმის ბუდეს და მრავალფეროვან საფრანგეთს სადაც უკვე წლებია განსხვავებული იდენტობის ხალხი ცხოვრობს, მშვიდობიანად ერთმანეთის გვერდი გვერდ და რასობრივ-რელიგიურ კულტურული განსხვავებები თვალშისაცემია , მარტივი მაგალითი საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების დღევანდელ შემადგენლობაში 75% არაფრანგი წარმოშობისაა. თითქოს აქ ყველა შეგუებული ამ ფაქტს, მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე საფრანგეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი სეპარატისტული რეგიონი ოციტანიაა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 2/5 იკავებს. ასევე ორი

[19] tolerant transylvania-why transylvania will not become another kosovo, katherine lovatt vol 1nom 1427. P.2. september 1999. 27 September 1999 (ბოლო ნახვა 15.06. 2020)

ესპანური რეგიონის ბასკეთის და კატალონიის ნაწილი საფრანგეთის ტერიტორიაზე, რასაც დამოუკიდებლობის შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვენ ისინი, ასევე არ დაგვავიწყდეს ბრიტანია, ნორმანდია, სავოი, ალასკე და ნიცის რესპუბლიკა. რაღათქმაუნდა -კორსიკა რომელიც იტალიასთან შეერთებაზე არ აამბობს უარს.

გადავავლოთ თვალი დანარჩენ ევროპასაც:პორტუგალია- აზორის კუნძულები და მადეირა. ჩეხეთი- მორავია და სილეზია (ეს უკანასკნელი ასევე პოლონეთის ტერიტორიაზეცაა) ხორვატიაში სერბებს სურთ თავისი რესპუბლიკის ჩამოყალიბება, ისევე როგორც ბოსნიაში რელიგიურად განსხვავებული ხალხი (ქრისტიანები და მუსლიმები) ცდილობენ ერთმანეთისგან გამოყოფას. სამხრეთ ალბანეთში ბერძნებს აქვთ ფეხი მოკიდებული და იქაჩებიან, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული ეთსნოსიც დამოუკიდებლობას ითხოვს.

მოლდოვა-უკრაინიშიც რთული მდგომარობა დნეპრისპირეთი, არ აღიარებული ყირიმი, უკვე „დონბასის რესპუბლიკა“ ასევე თვალსაჩინოა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია, ამდენი სეპარატისტული რეგიონი ალბათ სხვაგან არსადაა, ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, სტავროპოლო, კრასნოდარი, ყარაჩაი ჩერქეზეთი. რუსეთს ასევე სახიფათო სეპარატისტული რეგიონი აქვს ურალში. სეპარატისტულ გამოვლინებას ვხდებით თითქმის მთელს ევროპაში, ყოველივეს საილუსტრაციოდ იხილეთ დანართი # 2.

3.3.ევროპული და კავკასიური სეპარატისტული კონფლიქტების შედარებთი ანალიზი და მათი დაძლევის გზები

სეპარატიზმის ფენომები, მიუხედავად მისი საუკუნოვანი ისტორიისა ბოლომდე არ არის ამოხსნილი, ბოლო ათწლეულებში სეპარაციამ რამდენიმე განშტოება შეიძინა, თუ კი ადრე ის ძირითადად ხალხთა თვითგამორკვევის და კონკრეტული ჩაგრული ჯგუფის გამოყოფაზე იყო ორიანტირებული, დღეს- დღეისობით მან მრავალფეროვნება განიცადა, რელიგიური-ეროვნული დაპირისპირებასთან და დიდი ქვეყნების ინტერესებთან ერთად სულ უფრო აქტუალირი ხდება და ძალებს იკრებს ეკონომიკური სეპარატიზმი, ამიტომაც დღევანდელი ევროპული სეპარატისტული ჯგიფები გარკვეული ნიშნის ქვეშ ერთიანდებიან,

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სეპარატისტული რეგიონების, მთავარი პრობლემა და მაიდენტიფიცირებელი წყარო არის უცხო ქვეყნის ინტერესები, წაახალისოს სეპარატისტული მოძრაობები, აქ ნათლად იკვეთება რუსეთის ფედერაციის ცალსახა ინტერესები, რაც კავკასიის რეგიონსაც ცდება მაგალითად: რუსეთს ბრალს დებდნენ, კატალონიაში მომხდარ მოვლენებში და მისი ფარული ზრახვები იკვეთებოდა, ასევე ცნობილია რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა, ბასკური ნაციონალიზმის წახალისება და ეს თვით ეტას დახმარებაშიც გამოიხატებოდა, რუსული ფულის ინტერესებს ვხვდებით ჩრდილოეთ იტალიის რეგიონებში, რომელთაც აქვთ ინიციატივა შექმნან „ჩრდილოეთის ლიგა“ საქართველოში მიმდინარე სეპარატისტულ მოვლენების მთავარი მამოძრავებელი სარჩული არის ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, მას ვერანაირად გავავლებთ ე.წ. ეკონომიკურ სეპარატიზმის მეორე განშტოებასთან, რასაც შოტლანდიელები კატალონიელები ფლანდრიელები და თუნდაც ჩრდილოეთ იტალიის ზოგიერთი რეგიონი ითხოვს, ამ შემთხვევაში მათ ფისკალურ პოლიტიკასთან აქვთ პრობლემა, რასაც აფხაზეთის ცხინვალისა და მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში არ ვხვდებით. ირედენტიზმზე საუბრისას შესაძლოა პარალელის გავლება ვცადოთ, ოსეთისა და სამხრეთ ტიროლის შემთხვევასთან, მაგრამ აქაც მკაფიო განსხვავებები ჩანს ეს ტერიტორია ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთის სამეფოს მმართველობაში შედიოდა, მე-20 საუკუნის 70 წლებამდეც კი 80-90 % გერმანულ ენოვანი გახლდათ და დღემდე უმეტესობას ისინი შეადგენენ, გარდა ამისა იტალიელები ახორციელებდნენ მათზე მუდმივ ზეწოლას და ისტორიულად ხდებოდა მათი გაიტალიელობის პროცესი, რაც გამოიხატებოდა ენობრივ ბარიერში, ტოპონიმების და სახელების იტალიურად ქცევაში მაგალითად ქალაქი: „ბოზენს“ გადაერქვა სახელი და ეწოდა ბოლცანო. (იტალიზაციის ამსახველი ფოტო) რასაც ცხინვალის რეგიონის მიმართებაში მყოფი ოსების მიმართ ნამდვილად არ ავლენდა ქართული სახელმწიფო, პირიქით რამდენიმე თვის წინ ე.წ. არაღიარებული ოსეთის ხელისუფლებამ ცხინვალს სახელი გადაარქვა და მას სტალინგორს უწოდებს.

რაც შეეხება ენობრივ დაპირისპირებას და გაუცხოებას, ამ შემთხვევაშიც აფხაზეთის რეგიონთან მიმართებაშიც ბევრად დადებითი დამოკიდებულებაა, ვიდრე ფლანდრიაში მიმდინარე დაპირისპირებისა სადაც ენობრივი პოლიციაც კი მორიგეობდა და ადამიანების დაჭერის მიზეზი საკუთარ ენაზე საუბარიც კი შესაძლოა გახდარიყო, საქართველოს კონსტიტუციის მე-8 თანახმად საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რეგიონში ქართულთან ერთად აფხაზური. ეს ჩანაწერი ნათლად ცხადყოფს, რომ ენობრივი კუთხით მათ ბარიერი არ ჰქონიათ და საერთოდაც ეთნიკურად უმცირესობაში მყოფმა ჯგუფმა მოახდინა, უმრავლესობის გამოძევება, ესეთი პრეცედენტი უიშვიათესი შემთხვევა ევროპის მასშტაბით.

რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის თვალსაჩინო მაგალითი კი ბალკანეთის რეგიონია, სადაც მუსლიმ-კათოლიკ და მართმადიდებელ ქრისტიანს შორის მიმდინარეობს დაპირისპირება, გარკვეული პერიოდი იყო პროვოცირება აფხაზეთში რელიგიურ განსხვავებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მხოლოდ პროვოკაციული ხასიათს ატარებდა, აფხაზეთში მყოფ მუსლიმებს არასდროს ჰქონიათ პრობლემა რელიგიური შემწყრალებლობის კუთხით.

ყველაზე მეტად საგულისხმო რაც ევროპის რეგიონულ სეპარატიზმს, კავკასიაში, ბალკენეთსა, თუ ცენტრალურ ევროპაში აერთიანებთ არის, დიდი ქვეყნების ინტერესი „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპი და რეგიონში დესტაბილიზაცია, რაც კონკრეტული სუბიექტების წისქვილზე ასხამს წყალს, სწორედ ამიტომ უსაფრთხოების დილემისა და ურთიერთდამოკიდებულების თეორიია ყველაზე კარგად ასახავს ამ პრობლების გადაჭრის გზებს, ქვეყნებმა/რეგიონებმა უნდა შექმნან ბერკეტი და გამოთქვან მზაობა არ წაახალისონ სეპარატზმი, მყარი საერთაშორისო სამართლებრივი აქტითა და ერთიანი სისტემით რომელიც ემსახურება გამოცდილების გაზიარებას სეპარატიზმთან ბრძოლაში, როგორც ეს ტერორიზმთან ბრძოლის შემთხვევაში მოხდა და მეტ-ნაკლებად წარმატებული შედეგი მოიტანა

შესაძლებელია სეპარაციული ამბოხების მინიმუმამდე დაყვანა და საერთაშორისო საფრთხის, საფრთხე რომელსაც მსოფლიო უკონტროლობა და ქაოსი ეწოდება თავიდან არიდება.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ ბოლო დროს განვითარებული სეპარატისტული მოვლენები და ზოგადად მისი გამოძახილი, ევროპა საკმაოდ დიდი საფრთხის ქვეშ დგას, ერთიანი ევროპის იდეა სულ უფრო და უფრო ნაკლებ პოპულარობით სარგებლობს, კოსოვოს პრეცედენტმა დიდი გავლენა მოახდინა მთელს ევროპაზე. ნაშრომში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს ჰიპოთეზას, რომ სეპარატიზმის იქცა საერთაშორისო საზოგადოების მთავარ გამოწვევად და უსაფრთხოების უდიდეს პრობლემად, ქვეყნები მას უნდა ებრძოლონ ერთიანი სისტემით, რადგან ის ყველასთვის დიდი პრობლემას წარმოადგენს და უახლოეს პერსპექტივაში კიდევ უფრო მძაფრი სახით შეიძლება მოედოს კაცობრიობას.

რა საფრთხების წინაშე აყენებს სეპარატიზმის ევროპას?დანამდვილებით შეიძლება თქმა კატალონის, ან სხვა რომელიმე რეგიონის დამოუკიდებლობის შემთხვევაში დომინოს ეფექტი ძალიან სწრაფად ამოქმედდება და ევროპაში შესაძლოა სრულმა ქაოსმა მოიცვას, არც ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა იქნება გასაკვირი, ექსპერტები 10-ამდე ახალი სახელმწიფოს წარმოქმნას ვარაუდობენ, რამდენიმე წელიწადში შესაძლოა ევროპის რუკა სულ სხვანაირად გამოიყურებოდეს, ეს რათქმაუნდა კონკრეტული ქვეყნების წისქვილზე ასხამს წყალს და არა ერთიანი ევროპის, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაშია არსებობს სეპარატისტული რეგიონები, როგორც განვითარებადი ასევე განვითარებულ ქვეყნებში, ამის ნათელი მაგალითია ესპანეთი, საფრანგეთი, ბელგია.

როგორო გავლენას ახდენს სეპარატიზმი რეგიონალურ უსაფრთხოებაზე კავკასიის და ევროპის მაგალითზე?სეპარატისტული და ირედენტისტული მოძრაობები საფრთხეს უქმნის მთელს რეგიონს და კონტინენტს, კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს მეზობელ სახელმწიფოებზე და ევროკავშირზე, როგორც ფინანსური კუთხით ასევე პოლიტიკურ ნიადაგზე, მითუმეტეს დღეს როდესაც მსოფლიოს ახალი წესრიგის მოწმენი ვხდვებით, როგორც ექსპერტები ამბობენე ერთ ქვეყანაში აფრენილმა პეპლის ფრთების შრიალმა, შესაძლოა მეორე ქვეყანაში ქარიშხალი გამოიწვიოს, რისი ნათელი მაგალითია ბალკანეთი, კავკასია სამხრეთ ევროპა.

სად გადის ზღვარი საერთაშრისო სამართალსა და სეპარატიზმს შორის?ხშირ შემთხვევაში, მართლაც რომ რთულია გაარჩიო სად გადის ზღვარი სეპარატიზმსა და თვითგამორკვევას შორის, საერთაშორისო სამართალში არის ხარვეზები რაზეც უკვე წლებია ალაპარაკდნენ მსოფლიო ლიდერები, რისი ნათელი მაგალითია ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ებრძვის საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებულ ბიუროკრატიას და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს იგივეს, ფაქტია ამ ორგანიზაციებმა უნდა იმუშავონ ხარვეზები აღმოფხვრაზე რომ საერთაშორისო

სამართალი არ გახდეს ორმაგი სტანდარტების გამტარებელი და ამის ფონზე კონკრეტული ჯგუფებისთის კონტინეტზე არეულობის წამახალისებელი

როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სეპარატიზმს?როგორც ზემოთ ვახსენე, სეპარატისტულ მოძრაობებს ყველგან ვხვდებით ერთადერთ გამონაკლისად შეგვიძლია შეძლებისდგვარად შეგვიძლია ჩავთვალოთ გერმანია, გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არცერთი პრეცენდენტი არ ყოფილა სეპარატიზმის მცდელბისა, არადა უძლიერესი ეკონომიკით განთქმულ ლანდებს, თავისუფლათ შეუძლიათ მოითხოვონ იგივე პრივილეგიები რაც სხვა ევროპის რეგიონებმა, მაგალთისთვის ბავარიის ეკონომიკაც კმარა, ალემანებს ერთი საინტერესო ფაქტი აქვთ ლანდების კონსტიტუციაში, სახელმწიფოს ერთგულება, ვგონებ ეს ფაქტი ასხვა ქვეყნებმაც უნდა გაითვალისწინონ, საგულისხმო და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში სეპარატისტული მხარეები გამოყოფის შემდეგ უარს არ ამბობენ ევროპულ ოჯახზე, ეს საკითხი ცენტრალურმა ხელისუფლებებმა სათავისოდ უნდა გამოიყენონ, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი რაც უნდა გაითვალისწინოს ცენტრალურმა მთავრობამ: ესპანეთში, იტალიაში, ბელგიაში და აშშ არის ეონომიკური ფაქტორი კერძოდ „ფისკალური პოლიტიკა“ ეკონომიკის განვითარების დონეში სხვაობამ პროვინციასა და ქვეყნის ძირითად ნაწილს შორის დამოუკიდებლობის საკითხის წამოჭრაში გადამწყვეტ ფაქტორად ითვლება, სწორედ ეკონომიკით მანიპულირებენ კატალონიელები, ფლანდრიელები, შოტლანდიელები ჩრდილოეთ იტალიელები, ფისკალური პოლიტიკის სწორად წარმართვის რეგიონების მიმართ გარკვეული პრივილეგიის მინიჭება და ეკონომიკური თანაბრობის სწორი პოლიტიკა მგონია რომ ამ საკითხს მოაგვარებს, სწორედ ამიტომ ჩემი აზრით აუცილებელია სეპარატიზმის დაძლევის პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება ევროპაში, ქვეყნის წარმომადგენლები საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს, ბუნებრივია სეპარატიზმის გამოძახილის მიზეზი ყველგან სხვადასხვა არის სწორედ ამიტომ , ევროპის ქვეყნებმა ერთიანად უნდა იზრუნონ ამ

პრობლემის მოგვარებაზე არ უნდა წაახალისო სხვადასხვა ქვეყნაში მიმდინარე სეპარატიზმი, რადგან სავსებით შესაძლებელია მათ ეს პროცესი ბუმერანგივით დაუბრუნდეს. რეგიონები და ქვეყნები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, სწორედ ამიტომ განვიხილე თავში თანამშრომლობის თეორია, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სეპრატიზმთან საბრძოლველას, საერთაშორისო ეფექტიანი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფე აზრების გაზიარებას როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით. ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ევროკავშვირის როლსაც, ორგანიზაცია იმდენად ეფექტური ვერ არის ბოლო პერიოდში, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო სეპარატიზმის გაღვივებას და მან უნდა დაიბრუნოს სტრატეგიული ევროპის გამაერთიანებელი ძლიერი, თანასწორი, ერთიანი ევროპის სახელი, როგორც ეს იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული წლების მანძილზე. ბრიტანეთის მაგალითმა ეს კიდევ უფრო ცხადყო, ევროპის არცერთმა ქვეყანამ არ უნდა დაუშვას სეპარატისზმის წახალისებასთან, უკანასკნელმა მოვლენებმა ნათლად გვაჩვენა, რომ ტერორიზმთან ერთად სეპარატიზმი როგორც ევროპის ასევე მსოფლიოს გლობალური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ნაციონალიზმი და გლობალიზაცია ზურაბ დავითაშვილი/ გამომცემლობა-ფონდი-ღია საზოგადოება საქართველო/ თბილისი (2003)

2) უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას, ტონი ჯატი/ რადარამი/ თბილისი (2013)

3) ფედერალიზმი და სეცესიის უფლება- გია ხუბუა/ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/ თბილისი (1999)

4) ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე, ნიკა ჩიტაძე ქეთევან ჯებისაშვილი / თბილისი (2019)

5) ქართული ირედენტიზმის ისტორიიდან- დაზმირ ჯოჯუა/უნივერსალი / თბილისი (2009)

6) სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში-თამაზ ნადარეიშვილი, პატა დავითაია, დავით ჩიტაია/ აკადემია/ თბილისი (2003)

7) ჩემი მეოცე საუკუნე-რევაზ გაჩეჩილაძე/სულაკაურის გამომცემლობა/ თბილისი (2012)

8) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი- ალექსიძე, გიორგაძე, კვაჭაძე გამომცემლობა-ლიგამუსი (2005)

9) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში-ბეჟან სურგულაძე/ თბილისი (2017)

10) აფხაზეთი 1918-1921 წლებში- თამარ ლეკიაშვილი/თბილისი (2018)

11) სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები- დავით პიპინაშვილი/ თბილისი (2008)

12) საერთაშორისო პოლიტიკა-პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი/თბილისი (2014)

13) ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე 1917-1925წ - შოთა ვადაჭკორია/ თბილისი (2017)

14) ოსური სეპარატიზმი სამაჩაბლოში-ქეთი ჯიჯეიშვილ, გიორგი ჭულუხაძე/თბილისი (2009)

15) აფხაზური სეპარატიზმი რუსული იმპერიალიზმის დასაყრდენი საქართველოში- ბორის კვარაცხელია/თბილისი (2015)

16) From Kosovo to Catalonia: Separatism and Integration in Europe-Christopher J. Borgen St. John's University - New York(2010)

17) A STABILITY PACT FOR THE CAUCASUS A Consultative Document of the CEPS Task Force on the Caucasus -Sergiu Celac, Michael Emerson, Nathalie Tocci. (2000)

18) What are the main causes of conflict in South Ossetia and how can they best be addressed to promote lasting peace? - Greg Jentzsch /The BSIS Journal of International Studies, Vol 6 (2009)

19) Russia and Eurasia Programme Meeting Summary The North Caucasus: Islam, Security and Politics -Anna Matveeva, Craig Oliphant, John Russell/London (2012)

20) Building Stability in the North Caucasus Ways Forward for Russia and the European Union,Neil J. Melvin / Sipri Stockholm (2007)

21) The Georgia—South Ossetia Conflict, Dennis Sammut and Nikola Cvetkovski March (1996)

22) Nationalism and separatism in the Soviet republics / Ed. by Gail W. Lapidus a. Victor Zaslavsky with Philip Goldman.-Cambridge : Cambridge Univ. press, [1992)

23) Dr. Daphne Richmond-Barak "The International Court of Justice on Kosovo: Missed Opportunity or Dispute 'Settlement? 20 ივნისი 2011 https://books.google.ge/books?id=qi75BgAAQBAJ&pg=PA365&lpg=PA365&dq=Richemond+-

24) ჟურნალი ტაბულა „ევროკაავშირში სეპარატისტული მისწრაფებები მატულობს“ 7იანვარი 2013 http://www.tabula.ge/ge/story/63511-evrokavshirshi-separatistuli-mistsrafebebi-matulobs

25) პავლიკა ჯაგუნავა „კატალონიური სეპარატიზმი“ 9 დეკემბერი 2014 წელი http://www.tabula.ge/ge/tablog/90619-kataloniuri-separatizmi

26) რევაზ ქოიავა „კატალონია და სუვერენიტეტის საკითხი ევროპაში“ 9 ოქტომბერი 2017 წელი http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=182812

27) Tolerant Transylvania- Why Transylvania will not become another Kosovo. Katherine Lovatt, in Central Europe Review, Vol 1, No 14 27 September 1999.

28) Edgar ilias “Is catalan Separatisma Progressive Cause?” 5 November 2014 http://digitalcommons.bowdoin.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1145&context=dissidences(2

29) Scotish government Riaghalts no h-Altba.gov.scot “Statistical publications relating to Scotland's economy” 23 oct 2013 www.gov.scot/Topics/Statistics/Browse/Economy/

30) Geopolitical Inteliglligence Service “Separatism in Europen ” March 18.2020 https://www.gisreportsonline.com/opinion-separatism-in-europe,politics,2510.html

დანართი#1.

დანართი# 2.